140
1979/2

ISSN
ეროვნული
ბიბლიოთეკა




# პიონერი

11
1979

# უმაღლეს ჯილდოს ვულოცავთ საქართველოს კომკავშირს!

საქართველოს ჭაბუკებსა და ქალიშვილებს,
როგორც მთელ საბჭოთა ახალგაზრდობას,
ყოველთვის ვხედავთ კომუნიზმისათვის მებრძოლთა
პირველ რიგებში.

ლ. ი. ბრეჟნევი.



გორის ძნელაძის ძეგლი კომკავშირულ
ქალაქ გორის ძნელაძეში.

## შენ, საქართველოს იმედო

სიმონ შამუგიანი

შენ, სიჭაბუკე მამულის,
ჩვენი მთა-ბარის ვარდობავ,
შენ, საქართველოს მომავლის
იმედო — ახალგაზრდობავ,
ვაშა და ვაშა ათასგზის,
სულ აღმა-აღმა მავალო,
წინათა საუკუნეთა
ნანატრო მომავალო!
შენი ნათელი სახელი
უფრო და უფრო დიდდება.
დიდება შენს გულს, გონებას,
შენს წმინდა დროშას დიდება!

•

ქედუხრელი, პირდაპირი,
წარბგაშლილი, მხარგაშლილი
ესიტყვები ცის ვარსკვლავებს
საქართველოს კომკავშირი
იხვრა-კვნესა არ გიგვია,
ეკალ-ბარდი არ გაშინებს,
სიკეთისთვის თავდადება
დაგვინათლა აკვანშივე.
გაგიწვალდავს ბევრი ტყვრი,
პარტიის გზას მიჰყვებოდი,
სამშობლოსთვის, სალხისათვის
ინთებოდი, იგზნებოდი...
ახლა დგახარ ისე, როგორც
მზეჭაბუკი — ზღაპრის გმირი.
საბჭოთა შვილი ხარ და
საქართველოს კომკავშირი.

## სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### საქართველოს ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

სოციალისტურ და კომუნისტურ მშენებლობაში აქტიური მონაწილეობისათვის, ახალგაზრდობის აღზრდის მიზნით ნაყოფიერი მუშაობისათვის დაჯილდოვდეს საქართველოს ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირი ლენინის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის
თავმჯდომარე ლ. ი. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის
მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი.
1979 წლის 22 ოქტომბერი.



•

სკოლის მერხიდანვე იწაფები
ცისფერ სივრცეებში გასაფრენად:
გიხმობენ მინდვრები და წყაროები,
მთები, ხეობები ათასფერა,
გიხმობენ მშობლიური მიდამონი
(იციან, შენი მადა დაუცხრომელია),
ცოდნის მწვერვალები პიტალონი
შენთან შეერკინებას მოელიან.
წამოფრინდები და აპრილივით
ყველაფერს რარიგ ალამაზებ!
ფრთები გაქვს მევარდენის,
ოქროსფრად დაფერილი.
ხარობს ცა და მიწა
შენს ერთ დანახვაზე.

•

ტრფიალო წიგნის,
ტრფიალო დაზგის,
ტრფიალო ყანის,
ტრფიალო ვაზის,
ტრფიალო შენი
გაშხრებული მიწის,
თავგამოდებით
იღვწი და იწვი,
რათა ყაშირზეც
სიცოცხლე ჩქეფდეს,
რათა ბამბუკიდაც
სიმღერა ჭექდეს,
რათა ენგური
სინათლის ჩქერად
აუყვავილდეს
მშრომელის კერას,
რათა კოლხეთის
გოგო ყოველი
ნარინჯით მუქის
იყოს მთოველი,
რათა სამშობლოს
დღე თითოეული —
წინა დღისაგან
გამორჩეული —
იყოს უფრორე
ლაღი, ხმიერი,
ბარაქიანი,
პირმშვენიერი...

•

და, ჰა, შენს დროშას მზესავით
შვენის ორდენი ბელადის!
ზღვა სიხარულით ივსება,
ვარდი გასხია ყვლამდი.
ზეიმობს დიდიც, პატარაც
საფიცარ საქართველოში,
შენი ქება და დიდება
ჟღერს ყველა სადღეგრძელოში.
გილოცავთ, ერისმად გილოცავთ
ამ დაფასებას, ამ ზეიმს,
მშობელი ხალხის ფიქრებთან
შერწყმული მთელი არსებით.
ვაშა და ვაშა ათასგზის,
სულ აღმა-აღმა მავალო,
გმირთა დედათა, მამათა
ნანატრო მომავალო!
შენი სახელი ამიერ,
გვწამს, უფრო გაიბრწყინდება.
დიდება შენს გულს, გონებას,
შენს წმინდა დროშას დიდება!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა



# მეც შენი აღზრდილი ვარ!

ჩემო მშობლიურო საქართველოს კომკავშირო! სულითა და გულით, სიხარულის ცრემლებით თვალებავსებული გილოცავ სამშობლოს უმაღლეს ჯილდოს — ლენინის ორდენს!

შენმა აღზრდილებმა ჭეშმარიტად ტიტანური ძალა გამოავლინეს დიდ სამამულო ომში, ომში, სადაც წყდებოდა ჩვენი (და არა მარტო ჩვენი, არამედ მთელი მსოფლიოს) ყოფნა-არყოფნის საკითხი. შენ, უფროს ამხანაგებთან ერთად, შთააგონე შენს აღზრდილებს დიადი გრძნობა — სამშობლოს სიყვარული. და სწორედ ამიტომ ყველა, რიგითი ჯარისკაცი იყო ის თუ სარდალი, მტერზე გამარჯვების წმიდათა წმიდა საქმეს ახმარდა მთელ თავის ნიჭსა და ენერგიას, ხოლო, როცა ეს საჭირო იყო, გმირულად სწირავდა თავს სამშობლოს დამოუკიდებლობისა და ბედნიერებისათვის.

შენი ჯილდო ჩემთვის განსაკუთრებით ძვირფასია იმიტომ, რომ შენი აღზრდილები იყვნენ სამშობლოსათვის დაფერფლილი ოთხი ძმა ლესელიძენი: დავითი, კონსტანტინე, ვიქტორი და ვალერიანი.

საბჭოთა კავშირის გმირები — არმიის სარდალი, გენერალ-პოლკოვნიკი კონსტანტინე ლესელიძე და ნაღმსატყორცნების პოლკის მეთაური, პოდპოლკოვნიკი ვიქტორ ლესელიძე — ორი გმირი ერთი ოჯახიდან! ჩვენს დიდ ქვეყანაში მხოლოდ თერთმეტი ოჯახია ისეთი, რომელთაც ორ-ორი გმირი აღზარდეს.

ეს მაღალი ჯილდო ჩემთვის ძვირფასია აგრეთვე იმიტომაც, რომ 1920 წელს, როცა იატაკქვეშ იყავი, შენს რიგებში მიიღე მამაჩემი — კონსტანტინე ლესელიძე.

შენ ჩემთვის მშობლიური და საყვარელი ხარ, ვინაიდან მეც შენი აღზრდილი ვარ და თანამებრძოლ კომკავშირელ ჯარისკაცებთან ერთად იარაღით ხელში ვიცავდი შენს ღირსებას დიდ სამამულო ომში. შენს რიგებში იზრდებოდნენ ჩემი შვილებიც, ამჟამად შენს რიგებშია ჩემი უმცროსი ვაჟი.

იდღეგრძელე და იმარჯვე, ჩემი სახელოვანი საქართველოს ლენინური კომკავშირო! კვლავ მამულის სამსახურისთვის, მამულის სასახელოდ გეზარდოს მომავალი თაობები!

ოთარ ლესელიძე,
თადარიგის პოლკოვნიკი.

გამოდის 1926 წლიდან
საქართველოს ალკკ ცკ-ის და ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერთა ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს ყოველთვიური საბავშვო ჟურნალი
პიონერი
11 ნოემბერი 1979
საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა

# დიდი სიხარული

დიდი სიხარულის დღე გაგვითენდა!

ლენინის ორდენი ჩვენი სამშობლოს ყველაზე დიდი, ყველაზე საპატიო ჯილდოა და როცა ამ ორდენით გაჯილდოებენ, ეს შენი ღვაწლის დანახვას, დაფასებასა და აღიარებას ნიშნავს.

ჩვენ, მე და ჩემს ტოლებს, კარგად გვესმის, რომ დაჯილდოებულია არა მარტო თანამედროვე კომკავშირული არმია, არამედ მისი გმირული წინამორბედიც, არა მარტო დიდებული აწმყო, არამედ არანაკლებ დიდებული და გრანდიოზული, ბრძოლისა და შრომის ელვარე მაგალითებით სავსე თითქმის სამოცწლიანი ისტორია.

ერთი სკეპტიკოსი მეგობარი მყავს, ზოგჯერ ამბობს ხოლმე:

— რაც გასაკეთებელი იყო — გაკეთდა, ასაგები აიგო, დასანგრევი დაინგრა, ასათვისებელი აითვისეს... ჩემს წილად აღარაფერი დარჩა, გარდა ბეჯითი სწავლისა, ბეჯითი სწავლა კი რა გმირობაა, ეს ყოველი საბჭოთა ახალგაზრდის მოვალეობაა.

მე ვუმტკიცებ, რომ საკუთარი მოვალეობის უნაკლოდ შესრულებაც პატარა გმირობად შეიძლება ჩაითვალოს. ხოლო თუ შენს მოვალეობასაც ასრულებ და თან ამხანაგსაც ეხმარები (სწავლაში თუ შრომაში — სულერთია), ეს უკვე პატარა გმირობაზე მეტიცაა. მით უმეტეს, ახლა ისეთი დროა, რომ გმირობაც კოლექტივის საქმედ იქცა. ქართველი ახალგაზრდები ყამირზე სალაშქროდ რომ გაემგზავრნენ, აქ დარჩენილმა თანატოლებმა მათი აქაური მოვალეობის შესრულებაც იკისრეს. ასეა ახლაც: ბამზე წასული ქართველი



ეროვნული ბიბლიოთეკა

კომკავშირელები მოცლილები არ ყოფილან და არც მათი აქაური საქმე დაიცდის მათ დაბრუნებამდე, ამიტომ ყოველი მეჩაიე თუ მევენახე, მეტალურგი თუ მაღაროელი საკუთართან ერთად მათ წილ საქმესაც აკეთებს ხოლმე.

ამიტომ ეკუთვნის ეს ჯილდო არა ერთსა და ორს, არა მარტო მე ან ჩემს მეგობარს, არამედ ყველა ჩვენთაგანს, ყველა პატიოსანსა და მშრომელ ახალგაზრდას, შენს ყოველ ღირსეულ წევრს, ლენინის ორდენოსანი საქართველოს ლენინის ორდენოსანო კომკავშირო!



ქეთინო ლომიძე,
ა. ს. პუშკინის სახ. თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტი.



# გმირავლოს!

ჯილდოს მიღება ყველასათვის დიდი სიხარულია, მაგრამ თუ მაღალი ჯილდოთი ახალგაზრდა თაობას, შენი სამშობლოს ხვალინდელ დღეს, ქვეყნისა და ხალხის იმედს აჯილდოებენ — ეს ორმაგად სასიხარულოა!

თქვენ, ცხადია, კარგად გესმით, რომ ლენინის ორდენი, რომელიც თქვენს დროშაზე მზესავით აკიაფდა, მარტო დღევანდელ ახალგაზრდობას როდი ეკუთვნის! და ალბათ გამიგებთ იმ დიდ სიხარულსა და სიამაყეს, რომელსაც განვიცდი — ჩემმა კომკავშირულმა თაობამაც დაიმსახურა ეს ჯილდო!

თორმეტ წელიწადს ვატარებდი უძვირფასეს დოკუმენტს — წითელყდიან კომკავშირულ წიგნაკს. მე და ჩემი თანატოლები ომის დამთავრებისთანავე მხარში ამოვუდექით უფროსებს და ქვეყანას ომით მიყენებულ ჭრილობებს ვუშუშებდით, ვაღორძინებდით დანგრეულ სახალხო მეურნეობას.

1947 წლიდან აბრეშუმსაქსოვ ფაბრიკაში ვმუშაობ, ჯერ მოწაფე ვიყავი, ახლა საქსოვ საამქროში ბრიგადას ვხელმძღვანელობ. კომკავშირმა მასწავლა შრომის ყადრი და ფასი, ჩამინერგა კოლექტივიზმის გრძნობა, საკუთარი მოვალეობის შეგნება. ახლა იმითვე ვუხდი სამაგიეროს — ახალგაზრდებს ვასწავლი შრომას, დროის სწორად განაწილებას, პატიოსნებას, მუყაითობას...

მჯერა, კომკავშირელთა დღევანდელი თაობა კიდევ უფრო განამტკიცებს მიღწეულ წარმატებებს, კიდევ უფრო მაღალ მწვერვალებზე აგვიყვანს, კიდევ უფრო გიმრავლებს სასახელო ჯილდოებს!

წინ, სულ წინ და მაღლა გევლოს, საქართველოს კომკავშირი!

ვასილ გეგეშიძე,
თბილისის აბრეშუმსაქსოვი კომბინატის საქსოვი საამქროს ბრიგადირი, ორგზის ლენინის ორდენოსანი.

# გილოცავენ პიონერები

ჩვენო უფროსო მეგობრებო!

საქართველოს კომკავშირის ლენინის ორდენით დაჯილდოებამ ჩემში და ჩემს ამხანაგებში ორმაგი გრძნობა გამოიწვია:

ერთია სიხარული და სიამაყე, თქვენი დიდი ღვაწლის დაფასებითა და აღიარებით გამოწვეული.

მეორეა სინანული და რაღაც უკმარობის გრძნობა იმის გამო, რომ ეს მაღალი ჯილდო უშუალოდ ჩვენ, პიონერებს, თითქოს არ გვეკუთვნის...

როგორც ჩანს, სვეტლანა მასწავლებელმა ეს გაორება შეგვნიშნა და ამიტომაც გვითხრა:

— ბავშვებო, არ იფიქროთ, თითქოს თქვენ ამ დიდი ჯილდოს მიღებაში წილი არ გედოთ: ის ქალიშვილები და ჭაბუკები, რომლებმაც ჩვენი რესპუბლიკის კომკავშირის სახელი ასე განადიდეს, განა საქართველოს პიონერული ორგანიზაციის აღზრდილები არ არიან?

მართლაც, თვითონ როგორ ვერ მოვიფიქრეთ ეს?!.

გვერწმუნეთ: ჩვენი სკოლის მოსწავლეები განსაკუთრებულად განვიცდით ჯილდოს სიხარულს — ჩვენი პიონერული რაზმეული ხომ საქართველოს კომკავშირის ფუძემდებლის — ბორის ძნელაძის სახელს ატარებს!

ეს ბევრს გვავალებს და ახალი საინტერესო პიონერული საქმეებისაკენ მოგვიწოდებს ჩვენი მშობლიური საქართველოს სასახელოდ და სადიდებლად.

გილოცავთ ამ ჯილდოს და გპირდებით, რომ ჩვენი თაობა, რომელიც მალე ჩადგება ლენინის ორდენოსანი საქართველოს კომკავშირის რიგებში, ყველაფერს გააკეთებს, რათა ღირსეულად განაგრძოს გმირ წინამორბედთა საქმეები.

გილოცავთ და გულში ფარული იმედი გვილევივის: იქნებ ჩვენმა თაობამაც ივაჟკაცოს და მიაბნიოს საქართველოს კომკავშირის დროშას კიდევ ერთი მაღალი ჯილდო!

თამაზ ჩარუხჩევი,
თბილისის 48-ე საშუალო სკოლის ბ. ძნელაძის სახელობის პიონერული რაზმეულის საბჭოს თავმჯდომარე.

# სათიბის მარწყვი



კარლო კობერიძე

მხატვარი რევაზ ცუცქირიძე

მოთხრობა*

ეს ნაკაფი ტყე, ეს მარწყვი, ყვავილით სავსე ტყის პირი რაღაც უჩვეულოდ ლამაზი მეჩვენა, ისეთი, რომ მსგავსი არასოდეს მენახა. სხვა დროსაც ვყოფილვარ აქ, სხვა დროსაც მიცებნია მარწყვი, მაგრამ ეს ყვავილები არასოდეს შემიმჩნევია — ისე მომეჩვენა, თითქოს ახლა ამოვიდნენ, ახლახან! ხან მაღალ ბალახში ვეძებდი მარწყვს, ხან ხირხატის დაგვალულ ბალახში და ვიდრე ფეხს გადავადგამდი, ჯერ იმას ვცდილობდი, ყვავილი არ გამესრისა.

დანუ მოკრეფდა მარწყვს, მუჭას გაივსებდა და მერე მაჩვენებდა:

— აი!

დავხედავდი: რომელიმე თუ არ მომეწონებოდა, გამოვარჩევდი და გადავაგდებდი ხოლმე, დანარჩენს ჭამდა.

ხმაურით ვკრეფდით მარწყვს. მე და მერაბს მაშინ გემოთაც არ გვინახავს მარწყვი — ვკრეფდით და ანუცას კალათაში ვყრიდით.

ანუცა, მზია და ნუნუ ერთად კრეფდნენ მარწყვს.

— კახავ კაცო, — წელში აიშალა მერაბი, — სათიბში გადავალ, თუ ვინმემ არ მოულხინა, იქ ისეთი მარწყვი მეგულება, ბაღურია პირდაპირ! ჰო, ხო არ წავიდეთ და ვნახოთ?

— მართლაც თუ გეგულება, აქამდე რაღას უცდიდი?

— გვიან გამახსენდა. წავალ.

წავალო და წავიდა. რადუც წაიყოლა.

ანუცამ გოგოები მიატოვა და ჩემთან მოვიდა, მარწყვის მოზრდილი კონა შეეკრა:

— კარგია მარწყვი, — გამიღიმა და თვალზე ჩამოფარებული ქოჩორი ამიწია.

კინაღამ გული ამომივარდა. სხვა ველარაფერი მოვახერხე და დანუს მოვუფათურე ლოყაზე ხელი.

ამ დროს მეველეს ბიჭი შაქრო, ჩემზე ერთი კლასით წინ რომ სწავლობდა, ცხენით წამოგვადგა თავზე.

— შენი გოგოა? — ღრეჭით გადმოიხარა, თან მათრახს ათამაშებდა ხელში.

— წადი, გზას ბარაქა დააყარე!

— კოცნის საქმე როგორაა? — უარესად გაიღრიჭა.

წავუყრუე, სულ სხვას ვეუბნები:

— ამ შენმა ცხენმა მჭადი შეგვიჭამა არხზე.

— მერე გულზე დაადგა?.. მაინც როგორაა კოცნის საქმე?

არც მზია იყო ახლო, არც, მით უმეტეს, მერაბი, თორემ ისინი აჩვენებდნენ, როგორც იყო საქმე.

— წადი აქედან, თორემ ჩამოგიღე დაბლა! — ავილეწე.

— ამ ლამაზი გოგოს ხათრი არა მქონდეს, მართლა ჩამოგიხტებოდი და აგაღრიალებდი!.. სათიბში არა გნახოთ შესული! სადმე შევხვდებით და მერე...

მერე მერაბმაც დაიძახა, აქეთ წამოდითო.

შაქრომ მერაბისკენ გადაიხედა და ცხენს მათრახი გადაჰკრა...

ალბათ, ზოგი გაიგო, ზოგსაც მიხვდა ანუცა: დანაღვლიანდა, ვერაფრით ველარ გავამხიარულეთ.

ბევრი მარწყვი მოვკრიფეთ: ვჭამეთ კიდეც, საკრეფელიც გავავსეთ.

— რატომ მოიწყინა ანუცამ? — სოფელში რომ შემოვედით, მაშინღა მკითხა მერაბმა.

— არ ვიცი, — მხრები ავიწურე.

— იმ დამთხვეულმა შაქრომ ხომ არ აგირიათ?

— რატომ უნდა აერია?

— შევხვდები და მაინც ვკითხავ...

ჩემი სახლისკენ გავიხედე.

— შენ რა, მზიაანთა არ მოდიხარ?

— არა, გადაუდებელი საქმე მაქვს.

— მაშინ, არც მე წავალ, — გამომყვა.

გავჩერდი.

— ხელის შეშლის მეტს არაფერს გამიკეთებ და, თუ ჩემი ძმა ხარ, წადი.

9

აქამდე მარტო ლექსებსა ვწერდი, ახლა კი პიესაც დავწერე. სამი დღე მოვუნდი, ნაწილ-ნაწილ, ქურდულად ვწერდი, მინდოდა, ერთბაშად გამეხარებინა ყველანი. საამისო დროს ვუცდიდი, მაგრამ ჯერჯერობით არ ჩანდა...

იმ ხანებში სამჯერ უჩვენეს კინო ჩვენს კლუბში, კლუბი სადა გვქონდა — საყდარში! ყველანი ერთად მივდიოდით ხოლმე. რადუ და დანუც არ დაგვიტოვებია შინ. გაკვირვებას ვიყავით, არც ერთხელ არ ჩასძინებიათ!

სამივეჯერ ვაჟა მენაპირემ დაგვპატიჟა. ჩვენს შორის ყველაზე ფულიან კაცად ითვლებოდა ვაჟა — სამას მანეთს იღებდა პენსიას, ეგონა, პაპა რომ მომიკვდა, იმისიო, მამამისის მოსაგონარი კი იყო.

სამივე კინო ომზე იყო. ჰო-ჰო, რას ვუჟუჟავდით გერმანელებს!

მეოთხედაც რომ გამოაკრეს აფიშა და დაბინდებას ვე-

* დასასრული. იხ. „პიონერი“ № 8, 9, 10.

ლოდით, ისეთი ამბავი მოხდა, კინო რას ჰქვია, ლამის თავიც დაგვავიწყდა...

დრო გადიოდა და უანუცაოდ გაძლებაც მიჭირდა თანდათან. ათას მიზეზს ვპოულობდი და მივაკითხავდი ხოლმე. თვითონ კი ერიდებოდა ჩვენსა ამოსვლა: ძმების წამოყვანა არ უნდოდა, ისედაც გაწუხებთო; მარტოც ვერ ტოვებდა, დედა ყოველდღე სამუშაოდ მიდიოდა ვინმესთან.

მაშინაც ეზოში, ჩრდილში ვიყავი წამოწოლილი და წიგნს ვკითხულობდი. მაგრამ თავში არ შედიოდა — ანუცაზე ვფიქრობდი ისევ, ვნატრობდი: ომი კი არა, მათი აქ ყოფნა გაგრძელებულიყო დიდხანს, ძალიან დიდხანს, — უსასრულოდ!

ამ ფიქრში რომ ვარ, ეზოში ტირილით შემოდის ანუცა.

— კახა, გვიშველე! — დაიძახა და მაშინვე გაბრუნდა.

წამოვხტი და გზაზე გავენთე. ვაჟა შინ შეგულებოდა, გავძახე:

— ვაჟა, მარანში ჩამოდი, ჩქარა! — და ანუცას გავასწარი.

ვაჟა ჩემთან მოდიოდა თურმე და პირველად ის დაეშვა თავქვე:

— რა მოხდა?

— არ ვიცი!

მარანში რომ შევვარდი, თავდაპირველად დეიდა მარია მომხვდა თვალში — თმები გაეწეწა, ჩულებს დამხობოდა და მოთქმით ტიროდა. ჩულეჰში დანუ იწვა, მთლად ოფლში ცურავდა.

— შენ კობიაშვილთან გავარდი, მე კი პაატაშვილთან გავიქცევი, ან ერთი დაგვხვდება შინ, ან მეორე! — ვუყვირე ვაჟას და ხელიც ვკარი.

სოფლის გზაზე ერთად ამოვქაქანდით, მერე მე მარჯვნივ მივაწყდი აღმართს, ის — მარცხნივ დაეშვა.

ალექსანდრე პაატაშვილი შინ არ დამხვდა. მისმა მეუღლემ, ქალბატონმა მაშომ მითხრა, შენგელიებმა წაიყვანეს, ქალაქელი სტუმარი გახდომიათ ავადო. ახლა იქით ავიკრიფე ფეხები. გამოჩნდა შენგელიების სახლი და ექიმიც გამოჩნდა: ისა და ფოსტალიონი ლაპარაკ-ლაპარაკით მოდიოდნენ ფერდობის ძირში.

მაინც არ დავლოდებივარ — ფერდობი ერთი ჩაქანებით ჩავათავე.

ექიმმა შიშნარევი თვალებით მომხედა:

— რამე უბედურება ხომ არ მოხდა, შვილო!

— კეკე ჯავახიძის მდგმურს ბალღი ჰყავს ძალიან ავად!

— ეგღა აკლდა?! — გაცრეცილი ჩანთა მეორე ხელში გადაიტანა და ნაბიჯიააჩქარა, — საცოდავები!.. საცოდავები!..

რომ მივედით, ნოდარ კობიაშვილი უკვე იქ დაგვხვდა, ჩამუხლილიყო და ატირებულ დანუს მკერდზე ადებდა ფონენდოსკოპს. ჩვენს ხმაურზე წამოდგა, ალექსანდრეს ხელი ჩამოართვა და ფონენდოსკოპი მოიხსნა.

— თქვენი დიაგნოზი, კოლეგა? — ჰკითხა ალექსანდრემ, ახლა თვითონ ჩაიმუხლა, ჩანთა ფოსტალიონს მიაწოდა, დანუს შიშველ მკერდზე გაშლილი მარცხენა ხელი დაადო და მარჯვენა ხელის თითები ზედ დაუკაკუნა. ნოდარს არ უთქვამს თავისი დიაგნოზი.

და როცა ალექსანდრემ გასინჯა ავადმყოფი, მაშინღა თქვა:

— მე ვფიქრობ, გაციებულია. თქვენ რას იტყვით, ბატონო ალექსანდრე?

— სწორია, კოლეგა, მაგრამ, — მარანს თვალი მოავლო, — მაგრამ თუ აქ დარჩა, ამ უმზეობაში, ფილტვების ანთებაში გადაეზრდება.

— მეც მაგისი შიში მაქვს, — დაეთანხმა ნოდარი.

— ამიტომ რაღაც უნდა ვიღონოთ...

ნოდარმა თავისი ხელჩანთა გამოართვა ვაჟას, ქაღალდი ამოიღო, ფანქარიც, ის ხელჩანთა მუხლზე დაიდო, რაღაც დაწერა და ქაღალდი ვაჟას მიაწოდა:

— ეს ჩემს მეუღლეს, მანანას მიუტანე — წამლებს გამოგატანს. საჩქარო არაფერია, მაგრამ მაინც აჩქარდი.

— ამ ნესტში, ამ უჰაერობასა და უმზეობაში, თანაც თივაზე — რკინის ჯანმრთელობის კაციც დაავადდება, — თქვა ალექსანდრე ექიმმა. — მარტო ამ ბავშვს კი არა, — დანუსაკენ გაიშვირა ხელი, — ყველას უნდა შველა.

ნოდარმა თავი დაიქნია, ფოსტალიონს მიაჩერდა.

— მე რა მევალება? — იკითხა ფოსტალიონმა.

ნოდარმა ფანჯრებს შეავლო თვალი:

— მე მინებს მოვიტან. ომის წინ სახლის გაფართოებას ვაპირებდი და მინით დავიწყე მასალის მომარაგება, შენ კი ფიცრები უნდა მოხსნა ყველა ფანჯარას.

— ამ გაზეთებს ვინღა დაარიგებს?! — ჩანთაზე დაირტყა ხელი.

— მე დავარიგებ, — უყოყმანოდ ვუთხარი.

მთელი უბანი აქეთ გამორბოდა წიოკობით. — მარიას ბავშვი უკვდებაო. დახედავდნენ სიცხით აშფოთებულ დანუს, დედაკაცები აცრემლდებოდნენ, ბერიკაცები ამოიხვნეშებდნენ, გამოვიდოდნენ მარნიდან და ახლა ექიმებს შემოეხვეოდნენ.

— როგორა საქმე, ალექსანდრე?

— რა ეშველებათ, შვილო, ნოდარ?

მერე მოდიოდნენ და ვისაც რა შეეძლო, ის მოჰქონდა: ყურძნის წვენი, პური, ფქვილი, ლობიო, კარტოფილი, ღვინო, ძმარი (ტილო ძმრით დაასველეთ და შუბლზე დააფინეთო), ვაშლი, მსხალი, კიტრი, პამიდორი.

მე და ფოსტალიონი კი ფანჯარაზე აკრულ ფიცრებს ფრთხილად, რაც შეგვეძლო უხმაუროდ ვაძრობდით.

ნოდარმა ფოსტალიონს უთხრა, არსაით წახვიდე, ურემს თუ ვერ ვიშოვი, უბანში ბავშვებს მოვუყრი თავს და მინებს გადმოვიტანთო.

ალექსანდრე ექიმმა დანუს წამლები დაალევინა, ნემსიც გაუკეთა და მხოლოდ მერე წავიდა შინ. თან დეიდა მარიას უთხრა, სულ მალე ჩამოვალო.

ფიცრების გამოძრობას რომ მოვრჩით, ფოსტალიონმა კარის ჩარჩოს ლურსმანზე ჩამოკიდებული ჩანთა ჩამოხსნა და გაზეთები ამოიღო.

— აი, კახავ, ყველას აქ აწერია, ვისი რომელია. აიკიდე და ჩამოურიგე პატრონებს.

ჩანთა მხარზე გადავიკიდე და მარნიდან გაველ.

— მოიცა, — შემაჩერა ფოსტალიონმა. მოვიდა, რაღაც ქაღალდი ამოიღო ჩანთიდან და ნაკუწ-ნაკუწ აქცია.

მივხვდი: ვიღაცის შავი ქაღალდი იყო.

... გაზეთების დარიგებას მოვრჩი და მზეც ჩავიდა.

დავბრუნდი უკან და, ვიფიქრე, ან მეჩვენება, ან სიზმარში ვარ-მეთქი: მარნის ფანჯრებს მინები ჰქონდა ჩასმული, შიგ კი ორი ძველი საწოლი იდგა და ერთიც ტახტი, სამივეზე ლოგინი ჩანდა. ერთზე დანუ იწვა.

მომდევნო ორი დღე დანუსთვის თვალი არ მოუშორებიათ ექიმებს: ხან ნოდარი ედგა თავზე, ხან — ალექსანდრე.

მესამე დღეს კი უკვე დარბოდა დანუ.

ჩვენი რეპეტიციებიც იმ მესამე დღეს დაიწყო.

## 10

მართალია, ორსართულიანი სახლი გვედგა, მაგრამ იმ მეორე სართულის სამივე ოთახი ისეთი პატარა იყო, რეპეტიციების ჩატარება გაგვიჭირდებოდა და საკერავი მანქანის ჩხრიალიც შეგვიშლიდა ხელს. ქვედა სართულის — მარნისა და წაგრძელებული სათავსოს „მოურავი" კიდევ ნინო ბებია გახლდათ და ცოცხალი თავით არ მი-

გვანგრ-მოგვანგრევინებდა იქაურობას. არც მზიას სახლი ივარგებდა, არც მერაბისა. მერაბიანთ მარტო ერთი ოთახი ჰქონდათ, მზიაანთსას კი — იცოცხლე, ცხენი გაჭენდებოდა დაბლა-მაღლა, მაგრამ მზიას დას, ეკას მოვერიდეთ — თვითონ სულ თავ-პირი ჩამოსტირის და, სხვა რომ მხიარულობს ხოლმე, ქირქილებს...

ისევ ვაჟას სახლი ვამჯობინეთ სარეპეტიციოდ, თუმცა კარგა ხანს ვერიდებოდით, სიკვდილით განადგურებული ოჯახია და იქიდან სიცილ-ხითხითი რომ გამოვიდეს, სირცხვილი იქნებაო. სადაც სიცოცხლეა, იქ სიკვდილს რა გამოლევსო, თქვა ვაჟამ და სასტუმრო ოთახის კარი გაგვიღო.

ჯერ პიესა წავიკითხე.

ძალიან მოეწონათ.

— როდისღა დაწერე?! — გაუკვირდა მზიას, — ახლახან არ მოხდა ეგ ამბავი?

— ეგ შენი საქმე არ არის, — უთხრა მერაბმა, — მე ის მაწუხებს, ერთი კაცი რომ გვაკლია.

— თვითონ ომია ვათამაშოთ თავის როლში, — თქვა ვაჟამ.

— ერთიც ვნახოთ, უარი თქვას?

— ეს საქმე მე მომანდეთ!.. ახლავე მოვიყვან! — და მაშინვე კარში გავარდა.

— ჩვენ რაღა გვინდა აქ? — წამოხტა მზია.

— ვის თქვენ? — გაეღიმა მერაბს.

— აი, მე და ნუნუს!.. მაგ პიესაში სულ ბიჭები არიან და ჩვენ რაღად დაგვიძახეთ?

— შენ მათუზოვის როლს ითამაშებ მეორე პიესაში,— ვუთხარი და ახლა მეორე პიესა გამოვაჩინე, უფრო სწორად — პიესა კი არ იყო, ქუჩაში ორნი ლაპარაკობდნენ ომზე — ალექსანდრე ექიმი და სათო თავმჯდომარე.

ესეც მომიწონეს.

— ამას რაღაო? — ნუნუზე მითხრა მზიამ.

— ეგ საღამოს წაიყვანს...

ვაჟამ აღრიალებული ომია შემოიყვანა ოთახში.

— რა გატირებს, ამხანაგო? — შემოსვლისთანავე ჰკითხა მერაბმა.

— რომ მცემოს? — ახლა სლუკუნზე გადავიდა.

— ვინ გცემს, ვის მოძულებია თავი?

— ვინა და, ჯაჯანაშვილი!

— თითსაც ვერ დაგაკარებს — აქ არა ვართ?.. ნოდარი ექიმიც იქნება; ის შენი ჯაჯანაშვილი ხელს თუ მოგიქნევს, ქვები და იმისი ჯანი, ნოდარი კიდევ ნემსს გაუკეთებს.

— ნუ გეშინია, — მეც ვამშვიდებ, — შენ მარტო ის სიტყვები დაიზეპირე, ჩიორა პაპამ რომ გითხრა მარანში, აი, მე რომ დამაწერინე... ჯაჯანაშვილი ვერ მოვა იქა და თუ მოვიდა და გცემა, მარტო დედაკაცები ეყოფა — საყურთბალიშე მატყლივით გაწეწავენ!

ძლივს დავიყოლიეთ.

როლები გავინაწილეთ.

**პირველი პიესა:**

ფოსტალიონი — ვაჟა.

ჩიორა პაპა — მერაბი.

ჯაჯანაშვილი — მე.

ომია — ომია.

**მეორე პიესა:**

სათო — მზია.

ალექსანდრე — მე.

პირველი პიესის მიხედვით ამბავი მარტო ჩიორა პაპას ეზო-მარანში და იმ ბილიკზე ხდება, ჯაჯანაშვილი რომ გაება ხაფანგში, დანარჩენი მთელმა სოფელმა ნახა და აღარც დააინტერესებდათ.

რეპეტიციები მხიარულად დაიწყო და კარგი პირიც უჩანდა — ასეთი სიბეჯითით თუ გავაგრძელებდით, სამი დღის შემდეგ საჯაროდ ჩვენებაც შეიძლებოდა, მაგრამ ამ მოწადინებას იმ საღამოსვე გადაესხა ცივი წყალი: დედაჩემმა მითხრა, სერგო ძიამ გული აიჩვილა, ხვალ თავისი მაზიდით მოდის, ლობიო უნდა გამოვბარდოთ და ამოვიტანოთ!.. ერთიანად მოვწყდი და მოვიმხამე.

ლობიოს დაბეგვა, დაგულვა და დარჩევა დეიდა მარიამ გვიშველა, მისი შვილებიც ჩვენთან იყვნენ მთელი დღე. ნეტა ერთი გენახათ, პატარა ბიჭებს როგორ უგურგურებდა ნინო ბებია!

იმ დღეს ვაჟაც ჩემთან იყო, მზიაც, მერაბიც.. ნუნუც გადმოვიდა და ორი იმხელა საზამთრო გადმოიტანა. დედაჩემმა უთხრა, თვალით არ გეტყობა და, ეს რამდენი შეგძლებიაო.

მოქცეული დედალი დავკალით, კარტოფილიც შევწვით, კიტრი-პამიდორიც ბლომად იყო... ჩვენ არ გვქონდა და, ვაჟამ პურის ფქვილი გამოარბენინა, მზიამ — ყველი, და ხაჭაპურიც გამოაცხო ნინო ბებიამ...

დანუსა და რადუს კინაღამ თავზე მოექცათ მუცლები!

დედაჩემმა საყველპურო რუსული იცის და მარიას რუსულად ეჯახირებოდა.

ანუცას მხოლოდ მაშინ უთხრა მზიამ:



— სიმღერა იცი?

— ვიცი.

— აი, იქაური სიმღერა, თქვენეპური, — მხარს ზემოთ გადააქნია ცერა თითი.

— ბევრი ვიცი.

— იმღერებ?

— აქა?

— კონცერტზე.

— ვიმღერებ.

— რამდენს იმღერებ?

— ბევრს!

ჩვენ კი მისი ღიღინიც არ გაგვეგონა და ამიტომ ვერც წარმოგვედგინა, სიმღერა თუ იცოდა.

გადაწყდა: ჩვენ პიესებს დავდგამთ, ანუცა იმღერებს.

საღამოთი, კეკეს მდგმურები რომ წავიდნენ, დედაჩემმა ერთი ლიტრა ლობიო დc ვაჟას მოტანილი პურის ფქვილი რომ დარჩა, ის გამოიტანა მარნიდან — მარიას ჩაუტანეო.

წამოსვლისას ანუცამ გამომაცილა.

— ბიჭები გეძებდნენ.

— ვინ ბიჭები?

— დანუ და რადუ.

— როდის მეძებდნენ?

— გუშინ... დანუმ იტირა, კახა მინდაო. ჩემს დედასაც უყვარხარ! ყველას უყვარხარ!

— შინ რომ წახვალ, მოლდავეთში, არ დამივიწყებ?

— მაშინაც გნახავ.. აქ ჩამოვალ... იქ ჩამოხვალ.. უშენოდ არ წავალ.

— დედამ არ დაგიძახოს, წადი.

— შენთან ვარ... არ დამიძახებს... ჩემს დედას ძალიან უყვარხარ!..

იმ ღამეს ძლივს დავიძინე...

საქმე კარგად წავიდა — უშეცდომოდ დავიზეპირეთ როლები და ისიც — ვის როდის რა უნდა გაგვეკეთებინა. სად იყო მაშინ დასვენების დღე და მაინც კვირა ვამჯობინეთ. სააფიშე ქაღალდი ვაჟამ აღმოაჩინა სხვენზე. ქიმიური ფანქარიც ვიშოვეთ, ღორის ჯაგარიც; შენ ლამაზი ხელი გაქვსო — ნუნუს დავაწერინეთ აფიშები.

ფუნჯი ნატეხარში ჩაგუბებულ მელანში ამოავლო ნუნუმ და იკითხა:

— სათოს რა ვუყოთ?

— არ ახსენო, თორემ ჩაგვიშლის! — ვურჩიე.

— მაშ რა დავწერო?

— სამი წერტილი.

— მე კი აი ასე ვამჯობინებ! — წერა განაგრძო.

ორივე აფიშა ერთსა და იმავეს იუწყებოდა:

**დღეს კეკე ჯავახაძის კაკალქვეშ გაიმართება ორი წარმოდგენა:**

**1. ჩვენი ფინაგენტი;**

**2. როგორ ლაპარაკობენ ომზე ალექსანდრე ექიმი და ერთიც სხვა...**

**დასასრულს: მოლდავური სიმღერები.**

**მსახიობებს იქ გაიცნობთ.**

**დასწრება სავალდებულოა.**

**დასაწყისი: თელავისაკენ სახალხო მატარებლის ავლა.**

ერთი აფიშა საბჭოს კედელზე მივაკარით, მეორე — წყაროსთან ცაცხვი რომ იდგა, იმას ავაფარეთ საბჭოს მესერზე აძრობილი ლურსმნებით.

— რომ არავინ მოვიდეს? — დაეჭვდა მზია.

— სიცილის მიზეზი იყოს. თორემ ხალხი ქიზიყიდან გამოჭენდება, გამეიცნა. ნეტა ჯაჯანაშვილი მოვიდეს: ისე ვითამაშო, თბილისიდან გამორბოდნენ ჩემს წასაყვანად!..

ძლივს მოსაღამოვდა.



როგორც მოთავემ და პიესის ავტორმა თავი დავიფასე — ვიდრე ვაჟა ცხრაჯერ არ მომვარდა შინ, რაღას უყურებ, დროაო, მანამდე არ გავტოკებულვარ, მერე კი წავედი: რეპეტიციებს თუ არ ჩავთვლით, ჩემი პირველი გამოსვლა იყო და, მეშინოდა, ენა არ დამებას-მეთქი.

შორიდანვე მომესმა ხალხის ხმაური. მიველი ახლოს და რა ვნახე: კაკლის ქვეშ ტევა არ არის! აგერ, ჩალის სკამზე არ დამსხდარან ორივე ექიმი და მათი მეუღლეები?! ჩიორა პაპა დაბრუნებულა თბილისიდან, მწვანეზე წამოწოლილა და ომიას პაპას, თომას ელაპარაკება. იქვე ფოსტალიონი დაბრძანებულა თავის ჩანთაზე!.. ნეტა მთელმა ჩვენმა უბანმა ასე საგულდაგულოდ როგორ მოიყარა თავი?!. ნუნუს უბნელებიც ბევრნი ჩანან.

კაკლის იქით გაფოფრილი ლეღვი დგას — ის არის ჩვენი ფარდა.

ვაჟა ფოსტალიონთან მივიდა და ჩანთა სთხოვა.

— რათ გინდა? — ცოტა არ იყოს, შეცბა ის.

— შენ მიეცი და თვითონ იცის! — წაუტურტურა ჩიორა პაპამ.

ფოსტალიონი ჩანთიდან მიწაზე გადაჯდა...

ნუნუ რიხიანად აცხადებს:

— ვიწყებთ წარმოდგენას! პიესა: „ჩვენი ფინაგენტი“. — და რაკი მსახიობებს ყველა გვიცნობს, გვარებს აღარ ასახელებს.

ტაში დასცხეს.

გამოვდივარ. ვაჟას მამისეული, უზომოდ დიდი შარვალ-ხალათი მაცვია, მისივე კარტუზი მაქვს ჩამოფხატული, ალექსანდრე ექიმის ჩანთა (ქალბატონ მაშოს საიდუმლოდ ვთხოვე) მაქვს იღლიაში ამოჩრილი და აქეთ-იქით ვიხედები.. ვაჟა მომდევს უკან — თავის პაპისეულ ტანსაცმელშია ჩაკარგული და... ფოსტალიონის ჩან-

თას მოიქნევს. ისიც აქეთ-იქით იხედება.

ბუჩქის მეორე მხრიდან მერაბი გამოდის (ჩიორა პაპა), იმას კიდევ თომა პაპას ტანსაცმელი ჩაუჯაჯნია...

ტაში.

**მე** — ამხანაგო ჩიორა ხატიაშვილო, რეერთი ცხვარი გყამს? — ჩანთას ვხსნი.

**მერაბი** — (იღლიას იფხანს) შე ცოლ-შვილ ამოსაწყვეტო, მე როდის მოგივედ შინა და გკითხე, ეს ამოდენა ქონება საიდან გიოხრია-მეთქი!

სიცილი.

**მე** — ცოტა კულტურულად ვერ გამცემ პასუხს, შე ოხერო!

**მერაბი** — კულტურულად ამოგიწყდეს ცოლ-შვილი!

**მე** — კულტურულად ამოწყვეტა რაღაა? — ცხვირს ვიჩიჩქნი.

**მერაბი** — ბალიშზე ჟამიანობისას რო იცოდა, იგრე!.. რა ოხრობა გინდა, რათ დამიძახე?

**მე** — საურავი გაქ გადასახდელი, ამხანაგო ხატიაშვილო!

**მერაბი** — შენი ამხანაგი, ეგე, ქეციანი ფოსტალიონია!

**ვაჟა** — (მკვახე მსხალს ახრამუნებს) შენ ქეციანი მეძახე, მგონი ვერ შეგიდგენ აქტსა!

**მერაბი** — (ღეღვზე მიყუდებულ ჯოხს აიღებს) ღვინო-არაყი გირჩევნია თუ აეს სახრე? (უღერებს)

**ვაჟა** — ღვინო-არაყი.

**მერაბი** — ჰოდა, ემაგ ლოთობით არი, შარშანდელ გიორგობას აქეთ პირი რო არ დაგიბანია!

— ვის არ დაუბანია პირი! — წამოხტა ნამდვილი ფოსტალიონი, — წამოდით და ჩემს მეზობლებს ჰკითხეთ — დილასაც დავიბანე!

სიცილი და ტაში ერთმანეთშია არეული.

ნოდარა ექიმს სული ველარ მოუბრუნებია.

ალექსანდრე ექიმი მთელი ტანით ცახცახებს.

დეიდა მარიაც იცინის — მანანა მასწავლებელი უზის გვერდით და ის უთარგმნის ყველაფერს.

— დაჯე, დაეგდე! — სიცილით ეუბნება ჩიორა პაპა.

— ეგრე როდის იყო, რო? — ჯავრობს ფოსტალიონი. — როგორც იყო, იგრე ითამაშონ, ვინ ოხერი?! გავბრაზდები აი!

— მაშინ, უვარგისო, ეგენი რაღათ გვინდა, მე და შენ მოვყვეთ!..

პირველი მოქმედება ძალიან მოეწონათ, მეორეც, მაგრამ მესამეზე იყო, რაც იყო.

მარჯვენა ფეხის კოჭზე ბლომა ძონძი დავიხვიე და მართლა გავები ჩიორა პაპას ხაფანგში, იმ ხაფანგში, ჯაჯანაშვილმა რომ ჩაყო ფეხი.

**მე** — (ხაფანგს დავაშტერდი) ამ სოფელში მგლის სახსენებელი აღარ არის და ვილას დაუგეს ხაფანგი?! ჰა?.. ვაიმე, ფეხი!

**ვაჟა** — (მკვახე მსხალს იღებს ჩანთიდან, მშვიდად ჭამს) რაიონის უფროსობამ გითხრა, მგელი აღარ არისო?

**მე** — მე ვიცი, რო არ არის!.. ვაიმე, ჩემო მარჩენალო ფეხო!

**ვაჟა** — (მსხალს, ნაჭამს, ჩანთაში დებს და ახალ მსხალს იღებს) არის!

სიცილი.

**მე** — არა მგონია!

**ვაჟა** — ეგე, თუ არ არის, ვერ გაები!

სიცილი. ტაში...

კარგად მიდის საქმე — მაყურებელი კმაყოფილია...

მეორე პიესა:

მე იგივე ტანსაცმელი მაცვია, ოღონდ კარტუზი არ მახურავს და ნიკაპზე ქვაბის მურით გაშავებული მატყლი მაქვს მიკრული — ალექსანდრე ექიმს ვთამაშობ; მზია ჯარიდან ჩამოყოლილ მამამისის ჩექმებსა და გალიფეში ჩავარდნილა. განიერ ქამარზე ჩამოკიდებულ, თავის შეკერილ ტილოს ბუდეში მერაბის გათლილი რევოლვერი უდევს. გოგოებმა ათასი რამე ჩაუფინეს ტანსაცმელში და ძლივს გაასქელეს.

**მე** — როგორ ბრძანდებით, ქალბატონო სათო?

**მზია** — (ბოხი ხმით) რა ვიცი, რა ოხრობა მიჭირს!

ერთბაშად სიცილი.

**მე** — რა ისმის ფრონტიდან?

**მზია** — დავამარცხეთ და ეგ არი!

**მე** — იმ კბილებამდე შეიარაღებულ ურდოებს, დამერწმუნეთ, ჩვენზე მეტი ვერავინ დაამარცხებდა!

**მზია** — ფოლადის კბილები უზით?

ხარხარი.

**მე** — (ვითომ ვერ გავიგე) სხვათა შორის, მტერსაც მოეთხოვება კულტურა და ზრდილობა-თავაზიანობა.

**მზია** — ის შობელძაღლები კი ქვეყანას აწიოკებდნენ. ირმებსაც კი ხოცამდნენ ნაკრძალებში!

ისევ ხარხარი

**მე** — ქალბატონო სათო, შრომის ფრონტზე როგორი ვითარებაა?

**მზია** — შრომის ფრონტზე, აკი გითხარი, მოსავალს კარგი პირი უჩანს.

**მე** — ახლა საით გაგიწევიათ, ქალბატონო სათო?

**მზია** — (რევოლვერს დააძრობს ბუდიდან) ბარაბა მეველეს ძილქუში დასწოლია, სიმინდში ნახირი შეპარულა და, ვაჩვენებ, როგორ უნდა კაკლის გრილოში ძილი!

ხი-ხი-ხი-ხი და ხო-ხო-ხო!

რა თქმა უნდა, ის პიესები არც შემომრჩა, აღარც მახსოვს და მთლიანად ვერც აღვადგინე.

შემდეგ ანუცამ იმღერა. სიტყვები არავის გვესმოდა, მაგრამ მოგვეწონა კი, ძალიან მოგვეწონა.

ახლა აღარავინ იცინოდა — ნაღვლიანად მისჩერებოდნენ და უსმენდნენ. დამთავრდა წარმოდგენა, ღამეც მოიპარა და ხალხიც წამოიშალა.

11

სერგო ძიამ, ჩვენმა შორეულმა ნათესავმა, ვენახიდან ლობიო ამოგიტანეთო, ალბათ იმის სანაცვლოდ, სათიბში წამიყვანა ორი დღით. მეგონა, იმის ვენახთან მივდგებმოვდგებოდი, ალაზანგაღმა კი ამომაყოფინა თავი და ოთხი დღე მაჯახირა. ღამე იქვე ვიძინებდით, მინდორში... ამას ის მერჩივნა, ზურგით ამომეზიდა ლობიო — ამის ნახევარი დროც არ დამეხარჯებოდა.

მეოთხე დღეს, საღამოთი დავბრუნდი სოფელში. შინ არავინ დამხვდა და არც ძებნა-ძახილით შემიყრია უბანი.

აივნის ტახტზე წამოვწექი დაღლილ-დაქანცული და, ჭრიალი რომ გავიგონე, ელდანაკრავი წამოვხტი: ტახტი კეკეს მარანში მეგულებოდა და აქ არ იდგა?!

დიდხანს დავჩერებოდი: ვერაფრით ვერ მივხვდი, რა უნდა მომხდარიყო.

მარნისაკენ დავეშვი. მიველ: კარ-ფანჯარაზე ისევ ის მუხის ფიცრები იყო აჭედილი.

თავზარი დამეცა.

რა არ გავიფიქრე და რა არ მომელანდა!

ვაჟას დავუძახე, მერაბსაც — ორივენი შინ იყვნენ.

— წავიდნენ, — მითხრა ვაჟამ და თავი გვერდზე მიაბრუნა.

— რას ამბობ? სადა?

— რა ვიცი, ალბათ თავიანთ სამშობლოში!

— როდის?

— გუშინ. იმ დღესვე აპირებდნენ წასვლას, მაგრამ შენ დაგელოდნენ და, გუშინ დილით წავიდნენ. მე და, აი,



ეროვნული ბიბლიოთეკა

მერაბი მთელი დღე გეძებდით. ახლაც არ ვიცით, სად იყავი...

— ანუცას მამა ჩამოვიდა, — თქვა მერაბმა, — სამხედრო ფორმა ეცვა, ხელჯოხიანი იყო, კოჭლობდა. გაუგია, საქართველოში წავიდა ჩემი ცოლ-შვილიო და თურმე მთელი თვე ეძებდა სოფელ-სოფელ. ჯერ გაღმა სოფლები მოევლო... ისეთი წივილ-კივილი იდგა კეკეს მარანში, ბედნიერი კაცი ხარ, არც მოგისმენია და არც დაგინახავს... ბიჭებმა ვერ იცნეს მამა... ანუცა...

ანუცას ხსენებაზე სუნთქვა შემეკრა.

— ანუცას მამამ მეზღვაურის მაისური გაიხადა და საჩუქრად დაგიტოვა, — დასძინა მერაბმა, — დედაშენმა ჩემოდანში ჩადო... მთელმა უბანმა გააცილა სოფლის ბოლომდე; ქალებმა თვალები ამოიღამეს ტირილით... ჩვენ კი: მე, ესა, მზია და ნუნუ სადგურზეც ვიყავით... ანუცა ტიროდა — კახაო, როგორ ვერ იპოვეთ კახაო... წერილს გამოვუგზავნიო, ჩამოვალო...

— წადი ერთი! — ხელი ვკარი მერაბს და, ჩემი სახლისაკენ კი არა, მეორე მხარეს წავედი.

ორივე დამედევნა.

— სად მიხვალ? — წინ გადამიდგა ვაჟა.

— თავი დამანებე! — ხელი მოვუქნიე.

გვერდზე გადგა — აიცდინა.

— რა დაგემართა? მაშ სულ აქ ხომ არ იქნებოდნენ!

დავადე თავი და წავედი.

აღარ დამდევნებიან...

ბარნაბა მეველეს სახლს მივადექი.

— შაქრო!

შინ იყო.

— რომელი ხარ? — აივანზე გადმოდგა.

— კახა ვარ! გზაზე გამოდი!

ღიმილით გამოვიდა.

— ვაჰ, გაუმარჯოს! — ხელი გამომიწოდა.

ჯერ კი ჩამოვართვი ხელი, მერე შემოვკარი ფეხი, დავიგდე წინა და მთელი ძალით ვცემე: ჩემს სიცოცხლეში ასე არავინ გამიმეტებია. აღრიალდა, მაგრამ, ვიდრე მეზობლები მიეშველებოდნენ, მივასიკვდილე — ხან ფეხმდგომელას ვურტყამდი, ხან — წაქცეულს.

— რა გინდა, რათა მცემ? — მარტო ეს მითხრა.

— ოდესმე გაიგებ! — მარტო ეს ვუთხარი.

ძლივს წამგლიჯეს ხელიდან.

მერე შინ წამოველ, ლამპა ავანთე, გავხსენი მუყაოს ჩემოდანი. შიგ მართლაც მეზღვაურის მაისური იდო, ზემოდან — ალუბლის ფოთლებიანი კუნწულა.

დავხურე ჩემოდანი საწოლზე ჩამოვჯექი და ავტირდი... ვტიროდი, ვტიროდი — მთლად შევიწუხე გული! ისე დავიღალე, არაქათი აღარ მქონდა: მაშინ პირქვე დავემხე, პირისახე ბალიშში ჩავრგე და ახლა ასე განვაგრძე ტირილი...

კიბე ახმაურდა: დედაჩემი და ბებია დაბრუნდნენ.

კედლისაკენ გადავბრუნდი.

დედაჩემი ოთახში შემოვიდა.

— გძინავს, შვილო?

ხმა არ გავეცი...

ჩემი შორეული ნათესავი სერგო მას შემდეგ ჭირისდღესავით შემძულდა.

# ოქტომბერია

### თენგიზ მორჩიაული

ზეცას აბრუებს ზარების ხმები.
მთაზე ღრუბლები ოქროდ დნებიან...
მამულო, მძლავრად გაშალე მხრები,
ოქტომბერია!
მოვდივართ მწყობრად,
ვფიცავთ ფიცით,
როგორც იმედი და შემართება...
მიწა დროშების ხანძარში იწვის
და სული მისი სინათლით თბება.
და სურვილები მძლავრ გახელებით
გარს ევლებიან მთვარეს რაშებად...
და ყოვლისშემძლე ჩვენი ხელები
მზეს და ვარსკვლავებს ეთამაშება.
დიდო სიცოცხლევ, ჩაწნულო სუნთქვას,
აელვარებულხარ მზით, დაფდაფითა...
რაც გულით გსურდა,
ხომ აგისრულდა,
ხომ აგისრულდა,
მეტი რა გინდა?!
სივრცეს მიაპობს ზარების ხმები,
დღეს ყველაფერი ოქროსფერია...
მამულო, მძლავრად გაშალე მხრები,
ოქტომბერია!

# მზით ნაქსოვი ცისარტყელა

### ქალე ბობოხიძე

ქართვლის გული თბილისია,
სათაყვანოს ვფიცავთ ყველა...
რომ გვანათებს, იმისია —
მზით ნაქსოვი ცისარტყელა...

ვხარობ, ჩემთან ბნელს რა უნდა?
ჩემი სული სულ მზეშია...
ვინ თქვა — რწმენა გამიხუნდა?!
რწმენა ერის ნუგეშია!..

ურწმუნო კაცს მზე არ სწყალობს,
იტანჯება, სულ ბნელშია...
იჭიკჭიკე შენ, მერცხალო,
ამ თვალწარმტაც უბნებშია!..

ჩვენ მერმისი გვადიადებს,
გზა-სავალი ზღვიდან ზღვამდე...
შევხვედრივართ განთიადებს,
მტკიცე რწმენის დავიბადეთ!..

სადაც წავალთ, მზე თან გვახლავს,
დიდო მოდგმავ, გზანათელო:
გზებს ვუნათებთ მარად ახალს —
ჩვენს საყვარელ საქართველოს!..

ქართვლის გული — თბილისია,
სათაყვანოს ვფიცავთ ყველა...
რომ გვანათებს, იმისია
მზით ნაქსოვი ცისარტყელა!..



# დიდი პოეტი და ბავშვები









იმ დღეს წყნეთში გალაკტიონთან სტუმრად გახლდით. მესხეთ-ჯავახეთიდან ახალი დაბრუნებული ვიყავით და ვიხსენებდით დიდებულ ვარძიის სავანეს, კუმორდოს, წუნდას, თავფარავნელ ქაბუკს, აბულის მთას, მწყემსებს, ჩემს მშობლიურ სოფელში — საროში გატარებულ დროს, ასპინძას, რუსთავს, ახალციხეს, საფარას, აბასთუმანს, ზარზმას, გოდერძის გადასასვლელს, აწყურს, ბორჯომს...

„ჩვენ მესხეთ-ჯავახეთს ავედით,
ჩვენ ვნახეთ
თუ როგორ გაშლილა სივრცედ და
სილაღედ
ქედები მწყემსების, ავყევით თრიალეთს
და ვნახეთ კოშკები ქცეული სიალედ...“

— აუცილებლად უნდა დავწერო, — თქვა გალაკტიონმა, — არა ლექსი, არამედ წერილი მეცნიერებათა აკადემიისადმი ჩვენი საზოგადოების უსულგულო დამოკიდებულებაზე ისტორიული და კულტურული ძეგლების მოვლა-პატრონობის მიმართ.

საღამოვდებოდა, როცა გალაკტიონის სააგარაკო სახლის ეზოში ბავშვების ჯგუფი შემოვიდა. მათ მოწიწებით სთხოვეს მგოსანს ამ დღეებში სტუმრებოდა მეზობლად მდებარე მათს პიონერთა ბანაკს.

სამი დღის შემდეგ, თბილისში, ჩემთან სამუშაოზე შემობრძანდა დიდი პოეტი და მითხრა: „აბა, ჰე! დღეს, 20 აგვისტოს, 6 საათზე მოგველიან ჩემი ყველაზე პატარა მასპინძლები“. ეს იყო 1955 წელს.

დათქმულ დროზე ცოტა ადრე ჩავედით წყნეთში გალაკტიონისავე „პობედით“. მის აგარაკზე შევისვენეთ. ჩვენი მისვლა არ გამოპარვიათ ბავშვებს...

მოვიდა პიონერთა დელეგაცია. გალაკტიონი მათ ხილით, ტკბილეულით გაუმასპინძლდა.

ბავშვების დიდი ჯგუფი გალაკტიონს ჭიშკართან შეეგება.

პოეტის გამოჩენისთანავე ატყდა ერთი ყრიამული. სიხარულს ყველა თავისებურად გამოხატავდა — მისასალმებელი შეძახილებით, ყვავილების გადაცემით, ყველაზე მეტად კი — საყვარელ პოეტთან ახლოს მისვლით...

გალაკტიონი დააბრძანეს რკინიგზის მუშაკთა პროფკავშირის პიონერთა ბანაკის ეზოში, ლამაზად მორთულ ღია ესტრადაზე მისთვის სპეციალურად მორთმეულ დიდებულ სავარძელში...

იყო მისალმებები, ლექსები, სიტყვები, ოვაციები...

სახალხო პოეტის, აკადემიკოს გალაკტიონ ტაბიძის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე ნორჩ მსმენელებს ესაუბრა პედაგოგი ფატი ნიშნიანიძე.

— „ახალგაზრდა ახალ გზნებით ხალხში უნდა ტრიალებდეს, გრდემლსა სცემდეს და მინდვრადაც მერანს მიაქრიალებდეს, სადაც იგრძნობს უმართლობას — შურისგებით იალებდეს, კვლავაც რწმენის და სიმართლის დროშასააფრიალებდეს...“ — თავისი ლექსის („ახალგაზრდობას“) სტრიქონებით დაიწყო სამადლობელი სიტყვა გალაკტიონმა, შემდეგ თავის პატარა მასპინძლებს წაუკითხა სახელდახელოდ დაწერილი ლექსი რკინიგზელთა შვილებისადმი — „რა სჯობს მუდამ მზად ყოფნას“ (ამ ლექსის ავტოგრაფი ჩემთან ინახება). ლექსის შინაარსი ასეთია: მომავალმა თაობამ რომ ცხოვრება განაგოს, საჭიროა სწავლა, შრომა, მზადყოფნა ყოველგვარი წინააღმდეგობის გადასალახავად; ბავშვებთან მასაც — გალაკტიონსაც — ბევრი რამ აქვს საერთო, „საძმო, საამხანაგო“.

„პ ი რ ვ ე ლ ი — სამშობლოა! ხმა გზათა და დიზელთა... მ ე ო რ ე — მეზობლობა, სიახლე ყვავილების... მესამე — ყელსახვევი. მზემ წითლად რომ გააგო, რომ დღეები ყრმობისა უქმად არ გადაავლო! მ ე ო თ ხ ე — თქვენი ნაზი და გულწრფელი ძახილი, რომ თქვენს არეს სახალხო მგოსნის ჰქვია სახელი!..“

შეხვედრა დამთავრდა...

გალაკტიონი ბავშვებისათვის ყოველთვის სანატრელი სტუმარი იყო, ამის საილუსტრაციოდ გთავაზობთ ჩემს პირად არქივში დაცულ რამდენიმე ფოტოსურათს: გალაკტიონის შეხვედრა ორმოციან წლებში თბილისის ახალგაზრდობის ერთ ჯგუფთან (ფოტო ტარხოვისა), ჩემს მიერ 1955 წელს გადაღებული ფოტოები — გალაკტიონი თავფარავნის ტბის პირას, ჯავახეთის პიონერებთან, წყნეთში რკინიგზელთა შვილებთან შეხვედრისას (სურათები ქვეყნდება პირველად).

ვფიქრობთ, დიდი პოეტის ეს გახსენება და ფოტოსურათები განსაკუთრებით საინტერესო იქნება დღევანდელი 30-35 წლის იმ „პიონერებისთვისაც“, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობდნენ იმ შეხვედრებში.

ვახტანგ ბურბანიძე

ბათუმი და აჭარა როდია მარტო მზისა და ვარდების, „მწვანე ოქროს“ და ოქროსფერ ციტრუსოვანთა მხარე, როგორც ეს ზოგს ჰგონია. არა, აჭარა დღეს — ეს, უპირველეს ყოვლისა, მშრომელი, შემოქმედი ადამიანია, რომელმაც იცის თავისი ქვეყნის წარსულის ფასი, აწმყოს მნიშვნელობა და მომავლის სიდიადე; აჭარა — ეს დღევანდელი მოზარდიცაა, რომელიც ხვალ ქვეყნის ბედ-იღბლის სრულუფლებიანი მესაჭე გახდება.



# გადარჩენილი სიტყვა

ვინ არ მოხიბლულა ჩვენი სამშობლოს უკიდურესი სამხრეთის მზითა და მიწით, ცითა და ზღვით; ვინ არ დაინტერესებულა მისი მრავალჭირნახული ისტორიით! საუკუნეების მანძილზე მედგრად ხვდებოდა აჭარა მომხვდურებს და საიმედო ფარი იყო ქვეყნისა, უბრძოლველად არ დაუთმია არც ერთი გოჯი ქართული მიწა, არც არასდროს შერიგებია გადამთიელთა ბატონობას.

აჭარის, ისტორიული მესხეთის ამ დაწინაურებული მხარის შესახებ ილია ჭავჭავაძე დიდი გულისტკივილით ამბობდა: „ჩვენი ყოფილი ცხოვრება იქ აღყვავებულა, ჩვენს სიცოცხლეს იქ უჩქეფნია, ჩვენი სულის ძლიერებას იქ აღუმართავს თავისი სახელგანთქმული დროშა... სწავლა, განათლება, მამულისათვის თავგამეტებული სიყვარული თითქმის იქიდან ეფინებოდა ჩვენს ქვეყანას ერთ დროს“.

ეს იყო „ერთ დროს“, მერმე კი ოსმალთა სამსაუკუნოვანმა ბატონობამ აჭარას ეროვნული განვითარების გზა გაუმრუდა, მაგრამ მაინც ვერ წაართვა უმთავრესი — მშობლიური ენა. აჭარლის ოჯახში ქართული სიტყვა არასდროს არ გამოლეულა და შემდგომში სწორედ ამ საიმედო ნიადაგზე იხარა აქ, ჩვენი ეროვნული კულტურის ხემ.

ქართველობისათვის, მშობლიური ენის შენარჩუნებისათვის აჭარლების, განსაკუთრებით კი აჭარელი დედების მეცადინეობა ისეთი შთამაგონებელი გაკვეთილია, რომელსაც არასოდეს არ გაუვა ყავლი...

ამ მოკლე ხანში ქართველმა ხალხმა თითქმის ერთდროულად იზეიმა სამი საიუბილეო თარიღი: ჩვენი ეროვნული წიგნის „დედაენის“, დედასაქართველოსთან აჭარის დაბრუნების და ბათუმში პირველი ქართული სკოლის დაარსების ასი წლისთავი.

„დედაენასაც“ და პირველ ქართულ სკოლასაც ბევრი მტერი ჰყავდა აჭარაში. ისინი ჩვენი ერის მტრები იყვნენ. მათთან უთანასწორო ბრძოლაში იწრთობოდნენ და მაღალ სულიერ თვისებებს ავლენდნენ მემედ აბაშიძე, ჰაიდარ აბაშიძე და სხვა ლიტერატორები თუ საზოგადო მოღვაწეები, რომლებმაც პირველი ეროვნული ნათლობა იმ პირველ ქართულ სკოლაში მიიღეს და მშობელი ხალხის ბედნიერი მომავლისათვის გოლგოთის გზას დაადგნენ, არ შეუშინდნენ ცილისწამებასა და დამცირებას, დევნასა და დილეგს.

ქართული მწერლობა ყოველთვის იყო აჭარის ქომაგი და მზრუნველი. ილია, აკაკი, იაკობ გოგებაშვილი, ნიკო ნიკოლაძე, დავით კლდიაშვილი და სხვა გამოჩენილი მამულიშვილები არაფერს არ იშურებდნენ აჭარისათვის, მთელი ერის სასიცოცხლო ძალებს მოუხმობდნენ მისდა საშველად. ეს გამორჩეული ყურადღება შემდგომშიც გაგრძელდა და ტრადიციად იქცა.

გალაკტიონ ტაბიძემ შთამომავლობას დაუტოვა მთელი წიგნი — „ოქრო აჭარის ლაჟვარდში“. გიორგი ლეონიძემ თავისი დიდი გული დააწურა ამ კუთხის სიყვარულს; სიმონ ჩიქოვანმა შექმნა ციკლი ლექსებისა — „შემოდგომის დღეები აჭარაში“. თითქმის ყველა ქართველი პოეტი მიეფერა და მიესიყვარულა განახლებულ აჭარას, მის სახელოვან ადამიანებს, შრომისა და ბრძოლის გმირებს, რომლებსაც თვალსაჩინო წვლილი შეაქვთ კომუნისტური საზოგადოების მშენებლობაში.

მხოლოდ ჩვენ დროში გახდა შესაძლებელი აჭარის ნამდვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეკონომიკური და კულტურული აღორძინება. სკოლებში ახალგაზრდობა მშობლიურ ენაზე დაეწაფა ცოდნის წყაროს, მტკიცე ნიადაგი შეექმნა მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარებას.

შემოქმედებით სარბიელზე გამოჩნდნენ მამია ვარშანიძე, ნანა გვარიშვილი, ფრიდონ ხალვაში, ჯემალ ჯაყელი, ჯემალ ქათამაძე, ზურაბ გორგილაძე, შოთა ზოიძე და სხვები, რომლებმაც ქართულ მწერლობაში მოიტანეს საუკუნეების მანძილზე უთქმელი სიტყვა.

სულ ახლახან ფრიდონ ხალვაშს წიგნისთვის „ასი მზე დედის გულისა“ მიეკუთვნა საქართველოს უმაღლესი ეროვნული ჯილდო — რუსთაველის პრემია. ამ ფაქტს თვითონ პოეტმა მისცა პირუთვნელი შეფასება:

**საქართველო აჯილდოებს**
**განა მარტო შვილს და პოეტს,**
**აჭარაში გადარჩენილ**
**ქართულ სიტყვას აჯილდოებს.**

ოცდაათიანი წლების დამდეგს მწერალთა კავშირის კარი ერთერთმა პირველმა შეაღო მამია ვარშანიძემ — მას სრული უფლება ჰქონდა, ყველა კეთილი ნების ადამიანისათვის ალალად ეთქვა: „მოდი, ნახე ჩემი სახლი, მზე იქ შემიჩერებია“... არა მარტო საბჭოეთის, არამედ დედამიწის ყველა კუთხიდან ჩამოდიან აჭარაში, ტკბებიან აქაური ბუნების სიმშვენიერითა და მშრომელი კაცის გარჯის ნაყოფით.

მოპოვებულ წარმატებებს შორის მეტად საყურადღებოა აჭარაში მხატვრული აზროვნების კერის გაჩაღება. ამ საქმის მესვეურია მწერალთა ორგანიზაცია და მისი ორგანო, ჟურნალი „ჭოროხი“, რომელსაც ადრე „ლიტერატურული აჭარა“ ერქვა. ამ სახელცვლას თავისი აზრი აქვს. ჭოროხი ჩვენთვის მარტო მდინარე, მარტო გეოგრაფიული სახელი როდია. იგი საქართველოს ავბედითი ისტორიის მოწმე და ნაწილია. სწორედ ჭოროხთან აღეძვრის ქართველ კაცს მწველი ფიქრები. ალბათ ამიტომ თქვა პოეტმა:

„ჩემს სოფელში ჰქონდა სათავე ჭოროხს“...

აჭარამ იცის გადარჩენილი სიტყვის ფასი...

აკაკი შონია,
ჟურნალ „ჭოროხის“ რედაქტორი.

ფრიდონ ხალვაში
რუსთაველის პრემიის ლაურეატი

## სიმღერა

რადგან მართლაც ქართველი ხარ,
დღეს აღარსად აღარ ელი,
რომ იკითხავს შენზე ვინმე:
„გურული თუ აჭარელი?“

თუ იკითხავს, დაფიქრდები,
აარიდებ ყველას სახეს,
გული მწარედ გეტკინება,
გული თითქოს გაგილახეს.

იტყვი: ამგვარ დამცირებას
ჯობდა მკერდი გამთელოდა...
თითქოს ვიწროდ მოგიხაზეს
შენი დიდი ქართველობა...

— ერთიც ვარ და მეორეცა,
კიდევ ვინ ვარ?
აჰა, გეტყვი:
ჩემი ტკბილი კერიაა
იმერეთი და კახეთი.

ჩემი მკვიდრი აკვანეთი
ეგრისშიაც მეგულება,
ქართლის ზეცის მხურვალება
დედის კალთად მებურება.

მესხიც ვარ და რაჭველიც ვარ,
ვარ მოხევე, ფშავი, ლაზი,
საქართველოს მზით დამწვარი,
საქართველოს სილამაზით.

ვინ გაბედავს, რომ დღეს ჩემთვის
თუნდაც სიტყვით გადაღობოს
ერთი ესო, ერთი ყანა,
სალხინო და სალაღობო.

როცა მტერი სამშობლოზე
მოდიოდა გადარევით,
ერთად იდგნენ ლაზიც, სვანიც,
გურულიც და აჭარელიც.

ზოგი ხმალში დაიხოცა,
მკერდზე მკერდის დაფარებით,
მიწას ნაიარევივით
დასტყობია საფლავები.

დარღვეული ჩვენი მიწა
მათი მარღვით შეიკერა,
ამიტომაც ერთი არის
დღეს ჩემი და შენი კერა.

მამულო და დედულეთო,
დედავ — მიწავ, სალოცავო,
ჩემი გული, როგორც თასი,
შენთვის უნდა გამოვცალო.

რევაზ ართილაყვა

## საქმე ის არის

თუ უკვდავებას
ქვეყნისათვის სიკვდილი
შეგვმენს,
ხამს შევნატროდეთ
სამშობლოსთვის
დაცემულ მებრძოლთ.

სამშობლოსათვის
სიკვდილს, ალბათ,
როგორმე შევძლებთ,
საქმე ის არის,
მამულისთვის სიცოცხლე
შევძლოთ.

გიორგი სალუქვაძე

## სხვა დაიფიცებს

მეც საქართველოს
მზეს ვეფიცხები,
და რაკი მიწად
მეც უნდა ვიქცე,

ქართულ საფიცარ
მიწად ვიქცევი...
მერე ამ მიწას
სხვა დაიფიცებს.



ლამაზია ბათუმის ნავსადგური... განსაკუთრებით მაშინ, როცა აქ თბომავალი „საქართველო" ჩაუშვებს ღუზას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# «მეხუთე» მეოთხედის გაკვეთილი

ნუგზარ აფხაზავა

ზოგ თქვენგანს, ვისაც გაგანია სიცხეში ჩაის პლანტაციებსა და მანდარინის ბაღებში დილიდან საღამომდე თოხი არ უქნევია, არ უბარავს, ნიადაგში სასუქი არ შეუტანია, ჩაის ბუჩქთან წელში ორად მოხრილს ნორჩი დუყები არ უკრეფია, მეჩაიეთა და მეციტრუსეთა შრომა ალბათ იოლი ჰგონია და ძნელად თუ დააჯერებ, ძნელად თუ დაარწმუნებ, რომ ციტრუსოვანთა მზიური ნაყოფი თავისით არ მოდის და არც ის სურნელოვანი ჩაია თავისით მოწეული, რომლის ნაყენსაც სიამოვნებით მიირთმევთ ხოლმე.

მაგრამ ეს მხოლოდ ზოგიერთს შეიძლება ვუსაყვედუროთ, ბევრმა თქვენგანმა კი კარგად იცის, რომ უშრომლად არ არსებობს მოსავალი და ბარაქა, ხოლო უამისოდ — ადამიანთა სიკეთე და ბედნიერება.

ეს კარგად იციან აჭარელმა პიონერებმაც.

საოცრად ხანიერი, სამახსოვროა გამარჯვებული შრომის სიხარული. ვერავითარი სიამოვნება ვერ შეედრება საკუთარი შრომის ნაყოფის ხილვით გამოწვეულ სიამოვნებას.

აჭარელ პიონერებს ესეც კარგად ესმით.

შრომა სულაც არ არის მძიმე და დამღლელი, თუ იგი არ გეზარება. შრომა იგივე აქტიური დასვენებაა.

აჭარელი პიონერები საკუთარი გამოცდილებით დარწმუნდნენ ამაში.

ამიტომ არის, რომ ყოველ ზაფხულს კოლმეურნეობებისა თუ საბჭოთა მეურნეობების ჩაის პლანტაციებში, ციტრუსოვანთა ბაღებში თუ სიმინდის ყანებში უფროსებთან ერთად ბეჯითად ირჯებიან მოსწავლეთა საზაფხულო შრომითი ბანაკის წევრები — კომკავშირელები და პიონერები.

როცა მოსწავლეთა შრომით ბანაკებზე ვლაპარაკობთ, ერთი რამ უნდა გვახსოვდეს: ამ ბანაკების მიზანი მარტო მატერიალური დოვლათის გაზრდა არ არის; მართალია, მეხუთე შრომით მეოთხედში მოსწავლეები საგრძნობლად ზრდიან ქვეყნის ბარაქას, მაგრამ ჩვენი სახელმწიფო ამ ბანაკებზე უარს იტყოდა, რომ არ არსებობდეს სხვა, უფრო დიდი და მნიშვნელოვანი მიზანი: ახალგაზრდობისათვის შრომითი ჩვევების გამომუშავება, პასუხისმგებლობის, ამხანაგობის, კოლექტივიზმის, ინტერნაციონალიზმის გრძნობის აღზრდა და განმტკიცება... კიდევ სხვა ბევრი სიკეთე მოაქვს შრომას, და საბოლოოდ ეს ასწილ უფრო მეტ ღირებულებას წარმოადგენს, ვიდრე ტონობით დაკრეფილი ჩაი თუ მილიონობით ცალი მანდარინი.

და სასიხარულოა, რომ ეს მშვენივრად ესმით ბათუმის რაიონის ხელვაჩაურის საშუალო სკოლების მოსწავლეებს მალხაზ დიასამიძეს და ოთარ ზოიძეს, ქობულეთის რაიონის ხუცუბნის საშუალო სკოლის მოსწავლეებს მარინე მეგრელიძეს, ნანა ბაჯელიძეს, მარინე ბლადაძესა და სულიკო ვასაძეს, რომელთაც ჩვენი ჟურნალის კორესპონდენტი შრომითი მეოთხედის დამთავრების შემდეგ ესაუბრა.

•

— შრომითი მეოთხედისთვის მზადება ჯერ კიდევ მაისში დავიწყეთ, — თქვა მალხაზ დიასამიძემ. — შევისწავლეთ ამხანაგ პასტუხოვის გამოსვლა საკავშირო კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის IV პლენუმზე. ერთი აბზაცი ახლაც ზეპირად მახსოვს: „ახალგაზრდა კაცი ადრეული წლებიდანვე უნდა იყოს მომზადებული იმისათვის, რომ შეეძლოს მუშაობა მთელი თავისი ფიზიკური და სულიერი შესაძლებლობების სრული ძალებით ყველგან და ყველაფერში — სახლში, სკოლაში, ჩარხთან, მინდორში; გაიგოს უბრალო ჭეშმარიტება: ცხოვრებაში არაფერი არ მოდის თავისთავად, სიძნელეების გარეშე".

— გამოდის, რომ შრომითი მეოთხედი ისევ სწავლის, ახალი ცოდნის შეძენის მეოთხედი ყოფილა,—გაიღიმა ოთარ ზოიძემ. — მართლაც, სულ რაღაც 24 დღეში, ბანაკში მუშაობის პერიოდში, ბევრი კარგი რამ შევიძინეთ, უკეთ გავიცანით ერთმანეთი, ვიგრძენით, რომ ერთი ოჯახი ვართ, ერთი სულის ხალხს მოგვიყრია თავი, ამასთანავე, საქმეც გავაკეთეთ: გავთოხნეთ 30 ჰექტარი ციტრუსების ბაღი და სიმინდის ყანა. ბევრმა იმარჯვა, მაგრამ მათ შორის ყველაზე უფრო მეშვიდეკლასელ ინდირა ბექტაშვილს გამოვყოფდი.

— ექვსი რაზმი პლანტაციებსა და ყანებში მუშაობდა, — სიტყვა ჩამოართვა მეგობარს მალხაზმა, — ერთი — ჩაის ფაბრიკაში, ერთიც — ციტრუსების შემფუთავ ქარხანაში. აქ მომუშავე ოცდაორმა მოსწავლემ ხუთი ათასამდე ყუთი შეჭედა. თავი

ისახელეს მერვეკლასელებმა გენადი გურგენიძემ, თენგიზ ფარტენაძემ, მერაბ დავითაძემ... გაგიხარდებოდა, ამ ბიჭებს რომ შეხედავდი. მათაც და მათ ამხანაგებსაც უკვე სისხლსა და ხორცში აქვთ გამჯდარი შრომის სიყვარული, მისი აუცილებლობის შეგნება.

ტანმორჩილი ბიჭუნა სულიკო ვასაძე შეიშმუშნა და თვალები აუციმციმდა:

— ჩვენთანაც ბევრმა გამოიჩინა თავი, — თქვა დაბალი, მორიდებული ხმით. — ჩემი თანაკლასელებისაგან (ჩვენ მეშვიდეში ვართ) განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ ციური ხახუტაიშვილი, მანანა ბლადაძე, თემურ მგელაძე, მურად ბოლქვაძე... ისინი დღეში 30-40 კილოგრამ ჩაის მწვანე ფოთოლს კრეფდნენ (გეგმა 20 კგ. იყო). თანაც იმ პლანტაციაში, სადაც ფოთლის ძირითადი ნაწილი ჩაის საკრეფ მანქანა „საქართველოს" ჰქონდა დაკრეფილი. ფართოდ გვქონდა გაშლილი შეჯიბრება...

მალხაზმა სულიკოს წამიერი პაუზით ისარგებლა და სწრაფად, თითქოს ეშინია, არავინ დამასწროსო, ჩაურთო:

— შეჯიბრება ჩვენც გვქონდა. გამარჯვებულს ყოველ დილით გარდამავალ წითელ ალამს გადავცემდით ხოლმე.

— გეგმიან მუშაობასაც შევეჩვიეთ, — დაუმატა ნანა ბაჯელიძემ. — ყოველდღე, სამუშაოს დამთავრების შემდეგ, ვაჯამებდით ნამუშევარს და იქვე ვადგენდით სახვალიო სამუშაო გეგმას, ვანაწილებდით, ვინ სად უნდა წასულიყო და რა უნდა ეკეთებინა.

ოთარ ზოიძეს შეეტყო, რომ რაღაცის თქმას აპირებდა. ყველამ მას შეხედა.

— მე მგონი, შრომაში უფრო იჩენს თავს ამხანაგობის, კოლექტიურობის გრძნობა, ვიდრე სკოლის კედლებში, მით უმეტეს — გაკვეთილზე, — დაიწყო ოთარმა. — ერთ მაგალითს დაგისახელებთ: ბანაკში წასვლამდე ცოტა ხნით ადრე მაყვალა დუმბაძემ და ნაირა ბაბუჩაიშვილმა ბრმა ნაწლავის ოპერაცია გაიკეთეს. არავინ დასძრახავდა, სამუშაოდ რომ არ გამოსულიყვნენ, მაგრამ არა. ჩვენმა გოგონებმა შინ ფეხი-ფეხგადადებულ ჯდომას ამხანაგებთან ყოფნა ამჯობინეს და მთელი იმ 24 დღის განმავლობაში არ მოგვცილებიან. მძიმე სამუშაოს, ცხადია, არ ვაძლევდით, მაგრამ მათ თვითონ გამოიძებნეს საქმე: ცოტცოტაობით წყალს გვიზიდავდნენ, სადილზე სუფრის გაშლაში გვეხმარებოდნენ, გაზეთებს გვიკითხავდნენ... როცა გვერდით ამხანაგი გიდგას, შრომა უფრო სახალისოა... დღის ბოლოს, შედეგებს რომ ვაჯამებდით, მაყვალასა და ნაირას ჩვეულებრივი წევრების მსგავსად ვურიცხავდით ნამუშევარს.

— ამ მეგობრული ატმოსფეროს ფონზე განსაკუთრებით მკვეთრად ჩანს ყალთაბანდობა, შრომისთვის თავის არიდება, სიზარმაცე, — მალხაზის კილოში აშკარად იგრძნობოდა გულისტკივილი და სინანული. — აბა რომელ ამხანაგობასა და კოლექტივიზმზე, რომელ მოვალეობის შეგნებაზე შეიძლება ლაპარაკი ისეთ მოსწავლეებთან, როგორიც მაგული სურმანიძეა! კომკავშირელი მაინც არ იყოს! პირველ-მეორე დღეს როგორღაც მოვიდა სამუშაოდ, მერე კი მოიმიზეზა, შინ არავინ არისო (სინამდვილეში სახლში უფროსი და-ძმა ჰყავდა), და აღარ გამოჩენილა. ფატი ბოლქვაძემაც დაგვაღალატა: ხშირად განგებ დააგვიანებდა, ბანაკის მორიგეს რაზმის ასავალ-დასავალს ვითომ დიდი ინტერესითა და წუხილით გამოჰკითხავდა, ჩვენი ძებნით კი თავს არ აიტკივებდა და მერე მოიმიზეზებდა — ვერ გიპოვნეთო. ეს არის ამხანაგობა?

— თქვენ რა ჰქენით, არაფერი

## ჩვენი ჯერია

**ემენ დავითაძე**

რამდენიც იყო ღალატი ქვეყნად
გული იმდენჯერ სევდამ მოხარა.
ჩვენი ჯერია, ბიჭებო, ეხლა,
დაე, ჩვენც მოვკვდეთ,
როგორც მომკვდარან...

მაგრამ სამშობლო,
იმედი ხვალის
ჩვენც უნდა ქედზე გვედგას უღლებად.
ფხიზლად გვეჭიროს, ბიჭებო, თვალი,
სამშობლოს გული გვესაუბრება.

მისი სიმაგრე აბჯრებად გვეცვას,
ნუ შევანელებთ ქარში ნაბიჯებს.
ჩვენც უნდა მუხას ჩავეწნად ფესვად
მამულისათვის, მშობას გაფიცებთ!

არ მოისწყენიათ ხანჯლების ლესვა
არაგველების ლომგულ ბადიშებს!
გყავს, საქართველოვ, იმდენი ზესვა,
სადაც რამდენი მტერი დაგირჩეს!

შენთვის არაგვიც შებრუნდეს აღმა,
შენ, ჩემო რწმენავ და თვალისჩინო.
დავხვდები შენზე გალესილ ლაშქარს,
რომ ვეფხვთა მოდგმა გადაგირჩინო.



თითქოს ზღაპრული ხომალდები მიცურავენო მწვანე ოკეანეში...



ეროვნული ბიბლიოთეკა

ილონეთ? — იკითხა მარინე ბლადაძემ.

— სექტემბერში, პირველსავე კომკავშირულ კრებაზე ვიმსჯელებთ მათ საქციელზე, — მალხაზის მაგიერ ოთარმა გასცა პასუხი, — ამხანაგების წინაშე გავკიცხავთ. სკოლის დირექცია კი, როგორც გავიგეთ, ყველაფერს დახასიათებაში ჩაუწერს.

— სწორია, — მტკიცედ თქვა ნანა ბაჯელიძემ. — ჩვენც ასე მოვიქცეოდით, ამგვარ ფაქტთან რომ გვქონოდა საქმე. მაგრამ, თამამად ვიტყვი, ჩვენი ბანაკის გოგო-ბიჭებს ვერაფერს ვუსაყვედურებთ. სხვათა შორის, შრომაში მართლაც უფრო მკაფიოდ ჩანს, ვინ როგორი ამხანაგია, ვის შესტკივა გული კოლექტივისთვის, ვის აქვს მტკიცედ შეგნებული, რომ ნაკისრი მოვალეობა უნდა შესრულდეს. განსაკუთრებით ჩვენი ბიჭები უნდა ვახსენო — მურად ბოლქვაძე, თემურ მგელაძე, სულიკო ვასაძე და სხვები. ჩვენს უშუალო საქმეს რომ მოვრჩებოდით, ეს ბიჭები თვითონ აცხადებდნენ სურვილს, მონაწილეობა მიეღოთ ჩაის აწონვასა და გადაზიდვაში (რაც მათ არ ევალებოდათ).

ახლა ისევ მალხაზმა აიღო სიტყვა:

— შრომა თავისთავად სიკეთეა, და თუ მას გულით მოეკიდები, სიკეთითვე გადაგიხდის. ამ ზაფხულსაც კიდევ ერთხელ დავრწმუნდით შრომის გამაკეთილშობილებელ ბუნებაში. — მალხაზმა ოთარს გადახედა: — გურამის ამბავი უნდა მოვუთხრო... გვყავს ერთი ასეთი ამხანაგი — გურამ ქათამაძე. ცოტა თავისებური ბიჭია, განკერძოებით უყვარდა ყოფნა, თანაკლასელებთან არ მეგობრობდა, გაკვეთილებს აცდენდა და სოფლის ცენტრში უსაქმოდ დაყიალობდა, ხანაც კინოთეატრში ღამის სეანსზე შეიპარებოდა. რაზმებს რომ ვაკომპლექტებდით, შრომით ბანაკში წამოსვლაზე უარი არ უთქვამს და ჩემს რაზმში ჩავრიცხეთ. ბიჭებმა მოვითათბირეთ და გურამს ფიზკულტურული მუშაობის მეთაურობა დავაკისრეთ. და არც გვინანია, რომ ასე მოვიქეცით: ამ ბიჭში თურმე ორგანიზატორის ნიჭი ბუდობდა. რაკი ვიკისრე, შევასრულებ კიდეც სიტყვასო, თქვა და აკი შესანიშნავადაც გაართვა თავი საქმეს — შეადგინა ფრენბურთის, კალათბურთის, ფეხბურთის გუნდები. მის მიერ შექმნილმა ფეხბურთელთა საბანაკო გუნდმა „ტყავის ბურთის პრიზის" გათამაშებაში მესამე ადგილი დაიკავა. და მიუხედავად იმისა, რომ სექტემბრიდან გურამი ჩვენთან აღარ იქნება (44-ე პროფტექნიკურ სასწავლებელში განაგრძობს სწავლას), მაინც მხედველობის არეში გვეყოლება, დროდადრო გავიგებთ, როგორ იქცევა სასწავლებელში, და თუ დასჭირდება, რასაც შევძლებთ, დავეხმარებით. აბა რისი ამხანაგები ვართ!

მარინე მეგრელიძეს სახე გაუნათდა:

— მალხაზმა თითქოს ჩემი სათქმელი ამოიცნო, — თქვა მან. — მურად ცეცხლაძეზე მინდოდა მეამბნა.

— მოყევი, კარგი მაგალითია, — წააქეზა ნანამ.

— რა დაგიმალოთ, ეს ბიჭი გაკვეთილებზე უდისციპლინოდ იქცეოდა, — განაგრძო მარინემ. — ვაჟკაცობა ეგონა მასწავლებლისათვის ხელის შეშლა. ამხანაგებსაც ხშირად ეკინკლავებოდა. შარშან და შარშანწინ შრომით მეოთხედში ახლოსაც არ გაგვკარებია... წლეულს ერთ-ორჯერ როგორღაც ჩვენი ექსკურსიების შემაჯამებელ შეხვედრაზე მოხვდა. ამან თურმე დააინტერესა. წელს შრომით ბანაკში მონაწილეობის სურვილი გამოთქვა. გაგვიკვირდა და გაგვიხარდა, ჩავრიცხეთ და — როგორ გგონიათ? — შესანიშნავად იქცეოდა, ბეჯითად, დაუზარებლად შრომობდა, სხვებს არაფერში ჩამორჩენია. ამხანაგებსაც დაუახლოვდა. ზოგი ჩვენი თანაკლასელი თვალებს არ უჯერებდა — ნუთუ ეს მურადიაო?.. სექტემბერში კომკავშირში მისი მიღების საკითხს დავაყენებთ. ბანაკის ხელმძღვანელი მანანა მასწავლებელიც დაგვიჭერს მხარს...

დიდმა ილიამ თქვა: „წუთისოფლის სუფრა წვეულების სუფრა არ არის: ამ სუფრაზედ ყველამ თავისი საკუთარი კერძი თვითონ უნდა მოიტანოს და დაიდგას, თვითონ უნდა მოჰსთესოს, მოჰხნას, მოიმკოს, მოზილოს და გამოაცხოს თავისი არსებითი პური".

ვაჟა-ფშაველამ უფრო ლაკონიურად გამოხატა შრომის სიკეთე: „შრომა და სიყვარული აძლევს შნოსა და ლაზათს ადამიანის სიცოცხლეს".

ზემოთ აღწერილი საუბრის მონაწილენი უკვე მივიდნენ ამ დასკვნამდე.

საუბარი ლაღად, ძალდაუტანებლად მიმდინარეობდა. იგრძნობოდა, რომ ყმაწვილები კმაყოფილნი იყვნენ საზაფხულო შრომითი ბანაკისა, რომელმაც მათ მეგობრობის, კოლექტივიზმის, ურთიერთდახმარების, პასუხისმგებლობის, სიკეთის სამსახურის დიდებული გაკვეთილი მისცა.



ბოტანიკური ბაღი პატარების საყვარელი დასასვენებელი ადგილია.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ძალიან რთული კითხვები

ცისანა ჯოხია

*მოთხრობა

მხატვარი ელ. ამბოკაძე

№6181

მე პაატა შენგელია ვარ. მე და ჩემი მშობლები ქალაქის ერთ-ერთ მთავარ ქუჩაზე, ავეჯით გამოტენილ და ბროლითა და კერამიკით სავსე სამოთახიან ბინაში ვცხოვრობთ. მამაჩემი, ბატონი ზურაბი (ასე ეძახიან სამსახურში), სულ საქმით არის დაკავებული, საღამოს გვიან მოდის. დედა, აგერ ორი წელია, მუშაობს. მოვა თუ არა სამსახურიდან, ეზოშიც არ მიშვებს სათამაშოდ. ვზივარ ხოლმე მუდოსავით ჩემს ოთახში, ან წიგნებს ვკითხულობ, ან ტელევიზორს ვუყურებ.

დღიურის წერის სურვილი უეცრად გამიჩნდა — დღეს 9 მაისია, სამამულო ომში გამარჯვების ზეიმი. და დღეს კომკავშირის ბილეთი მივიღე! სახლში ფრენით მოვედი. დედას წიგნაკი გავუწოდე. გამომართვა, გადაფურცლა და დამიბრუნა. მომილოცა, მაგრამ შევატყვე, განსაკუთრებული სიხარული არ განუცდია. გული დამწყდა, მეგონა, დედას ჩემზე მეტად გაუხარდებოდა.

ახლა ჩემს ოთახში ვზივარ, საწერ მაგიდასთან. წიგნებში წამიკითხავს და კინოფილმებში მინახავს კომკავშირელების საგმირო საქმეები. მე კი ასე გვიან დავიბადე და აბა რა გმირობა უნდა ჩავიდინო? ვსწავლობ, როგორც ჩემი ამხანაგების უმეტესობა. ვკითხულობ, ტელევიზორს ვუყურებ, კინოში დავდივარ, ვთამაშობ. დღეიდან დღიურს დავწერ. ვიცი, რომ დღეიდან ცოტა უფრო მეტი მომეთხოვება. ვზივარ და ვფიქრობ. რატომღაც ყოველი დღე ერთმანეთს ჰგავს: ვდგები დილით, დედა დამდევს ოთახიდან ოთახში და ბოლოსდაბოლოს მაინც თავისი გააქვს ხოლმე: შემაჭმევს ერბოკვერცხს ან კარაქიან პურის ნაჭერს, მერე მივდივარ სკოლაში, ვუსმენ ექვს გაკვეთილს, ორ საათზე უკვე სახლში ვარ და ისევ ჭამაზე მეჩხუბება დედა. მერე ვმეცადინეობ და ასე...

თუმცა საინტერესო დღეებიც მქონია და სწორედ ამ დღეებზე მინდა ვწერო. ამბობენ, დღიურებს გოგოები წერენო. მერე რა, მე ხომ არ ვაპირებ, ვინმეს წავაკითხო ჩემი ჩანაწერები.

მაშ ასე, ვიწყებ.

## ამბავი პირველი

### რვა მარტი

რვა მარტი ქალთა დღეა. ეს სულ პატარა ბავშვმაც კი იცის. როგორც წინა წლებში, მამამ ახლაც ერთი კვირით ადრე მოუტანა დედიკოს სარვამარტო საჩუქრები — უცხოური კაბა, წინდები, სუნამო, პომადები — და ჩემს საწერ მაგიდაში ჩაკეტა.

ვიცოდი, რომ რვა მარტს, დილით, მე და მამა მივართმევდით ამ ძვირფას საჩუქრებს დედიკოს, იგი მადლობას გვეტყოდა და მიგვიწვევდა გაწყობილ სუფრასთან. ასე იყო წინა წლებში, ალბათ ახლაც ასე იქნება. უნებლიეთ ფიქრმა გამკრა: დედამ ხომ იცოდა, რომ მე ფული არ მქონდა და ეს ძვირფასი საჩუქრები მამაჩემის მოტანილი იყო, მაშ მეც რატომ მეუბნებოდა მადლობას? რატომ იქცეოდა ისე, ვითომ არაფერი იცოდა? ჩვენ დედას ვატყუებდით და ისიც იჯერებდა ამ ტყუილს. მთელი დღე ვფიქრობდი ამაზე. უეცრად მომინდა, თვითონ მეყიდა და მეჩუქებინა დედისთვის რაიმე, თუნდაც უბრალო წიგნი. თანაც, მას იმ დღემდე არაფერი უნდა სცოდნოდა ამის შესახებ. მამაჩემისათვის ფულის გამორთმევა არ მინდოდა. ისევ ჩემს ყულაბას — შამპანურის ბოთლს მივადექი — აგერ უკვე სამი თვეა, ვაგროვებ ათკაპიკიანებს. ბოთლი გავტეხე. შვიდიოდე მანეთი აღმოჩნდა შიგ. მე ჯერ მაღაზიაში ჩემით არაფერი მეყიდა და არ ვიცოდი, რის შეძენა შეიძლებოდა ამ თანხით. გადავწყვიტე, ბიჭებისათვის მეკითხა.

ყველაფერი უფრო იოლად მოგვარდა, ვიდრე მე მეგონა. ჩემმა თანაკლასელმა თენგიზ გორდელაძემ გაკვეთილების შემდეგ დარჩენა გვთხოვა და სრულიად საიდუმლოდ გამოგვიცხადა, რვა მარტისათვის ჩვენს გოგონებს საჩუქრები უნდა მივართვათო. ატყდა ერთი კამათი.

* იბეჭდება შემოკლებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზოგს სუნამოების ყიდვა უნდოდა, ზოგს წიგნების, ზოგსაც წინდებისა. სულ ათი ბიჭი ვართ და ისეთი ყვირილი ავტეხეთ, კინაღამ მთელმა სკოლამ გაიგო.

— გულთამზე მასწავლებელს ვკითხოთ, ვთქვი მე. უეცრად სიჩუმე ჩამოვარდა დამიჯერეს.

გულთამზე მასწავლებელი სამასწავლებლოში იჯდა. წინ გადაშლილი ჟურნალი ედო. თენგიზმა აუხსნა, რაც გვინდოდა. გავოცდი, ისე გაუხარდა მასწავლებელს. გვითხრა, საჩუქარი ყურადღებისა და პატივისცემის გამოხატულება უნდა იყოს, ფასს რა მნიშვნელობა აქვსო...

რვა მარტი ყოველთვის დასვენების დღეა. ჩვენ შვიდ მარტს მივულოცეთ ჩვენს გოგონებს. დილით ადრე მოვედით კლასში. თენგიზს ყველაფერი წინასწარ ჰქონდა მოფიქრებული, ოთახში გირლიანდები და ფერადი ბუშტები გავკიდეთ, გოგონების მერხებზე ყვავილების კონები, მისალოცი ბარათები და წიგნები დავაწყვეთ. მაგიდაზე დიდი თაიგულით გალამაზებული ბროლის ლარნაკი დავდგით, დაფაზე თენგიზის დახატული პლაკატი გავაკარით და ცხრის ნახევარზე საკლასო ოთახის კარიც გავაღეთ. გოგონები ერთბაშად შემოცვივდნენ. მოულოდნელობისაგან უცებ გაშეშდნენ ადგილზე, მერე ყველანი ერთად ალაპარაკდნენ, ხელებს იქნევდნენ: „ბიჭებო, ეს თქვენ მოიფიქრეთ?“ „დედას გეფიცები, თქვენგან არ ველოდი!“ „დედა, რა კარგია!“

ჩვენ, ბედნიერებისაგან გაბრწყინებულმა და დაბნეულმა ათმა ბიჭმა, მივულოცეთ გოგონებს, ხელი ჩამოვართვით, ვაკოცეთ. საკლასო ოთახიდან გასულმა ხმაურმა სხვების ყურადღებაც მიიპყრო. ოთახში ცნობისმოყვარეებმა შემოიჭყიტეს.

მთელი დღე გაბრუებული დავდიოდი. ნეტავი თავისით მოიფიქრა ეს თენგიზმა თუ ვინმემ ასწავლა? მე რატომ ვერ მოვიფიქრე?.. არა უშავს, მომავალ წელს უკეთესს მოვიფიქრებ.

იმ ღამეს ძილი გამიტყდა. ყველაფერი ათასჯერ ავწონ-დავწონე. მაგრამ მაინც ვღელავდი. დილის ექვს საათზე, რადიო ამუშავდა თუ არა. ჩემი ნაყიდი საჩუქრები სამზარეულოში მივიტანე, მაგიდა გულმოდგინედ გადავწმინდე, შუაში დავდგი პატარა ლარნაკი იების კონით, სუნამო და ღია ბარათი, ზუსტად ისეთივე საჩუქარი, როგორიც ჩემს თანაკლასელ გოგონებს მივართვით. როგორც კი დედიკო ადგება, აქ შემოვა, დაინახავს და... ერთი სიტყვით, ვნახავ, რაც იქნება. სიცივემ ამიტანა, ფეხაკრეფით გამოვედი და ისევ დავწექი. აღარ დამძინებია.

დედა, როგორც ყოველთვის, შვიდ საათზე ადგა. კარგად მესმოდა: საწოლი ოთახიდან გამოვიდა, დერეფანი გაიარა, სამზარეულოს კარი შეაღო... სიჩუმე ჩამოვარდა, გული ისე ჩქარა მიცემდა, ბუდიდან კინაღამ ამომივარდა. ნეტავი თუ გაუხარდა? მესმის: დედაჩემი ოთახისაკენ გამოემართა. თვალები მაგრად დავხუჭე და გავინაბე. იგი ჩემს საწოლთან მოვიდა, ფრთხილად, ფრთხილად მაკოცა შუბლზე. მე ვერ მოვითმინე, კისერზე შემოვეხვიე. „ჩემი ბიჭი, ჩემი ბიჭი“, — ბუტბუტებდა დედა და მეალერსებოდა. თვალები ცრემლებით ჰქონდა სავსე და ისეთი ლამაზი იყო, თვალს ვერ ვაშორებდი.

თურმე რა პატარა რამ ახარებს ადამიანს. დედიკოსაც ხომ გაუხარდა... მართალი თქვა გულთამზე მასწავლებელმა: მთავარი ყურადღება ყოფილა. ყურადღება.. შენც როგორ გიხარია თურმე, სხვას რომ ახარებ...

მამა გვიან ადგა და საჩუქრებისათვის მომაკითხა. ნახევარი გვერდზე გადმოაწყო, თვალით მიმანიშნა:

— წამოდი, წამოიღე, დედას ვაჩუქოთ.

— მე უკვე ვაჩუქე, — ცოტა მკვახედ გამომივიდა ნათქვამი.

მამას გაეცინა.

— ყვავილი და მანეთიანი წიგნი? კარგი ერთი! მოკიდე ხელი და წამოდი.

ისე მეწყინა, ცრემლი მომადგა თვალებზე.

— მე რაც მქონდა, ის მივართვი.

— გეთქვა. ბიჭო, ჩემთვის, თვითონ თუ გინდოდა რამე გეყიდა, ფულს მაინც მოგცემდი.

— ნუ დამცინი, — ვუთხარი და თვალებში შევხედე. — მთავარი ყურადღებაა და არა ძვირფასი საჩუქარი. შენ გიყიდია და შენვე წაუღე.

მამას ირონიულად გაეცინა, მერე ხელი ჩაიქნია, ყველაფერი ერთად მოხვია და დედას წაუღო. მე გუნებაწამხდარი ვიდექი და ცრემლს ვყლაპავდი.

ნუთუ მამა ვერ მიხვდა, რომ მართალი ვიყავი?

ამბავი მეორე

## რატომ არ შეიძლება ამხანაგებთან სიარული?

ჩვენი ქალაქის კინოთეატრებში ორშაბათობით ახალი ფილმი გამოდის. მე, დედა და მამა თითქმის ყოველ შაბათს ერთად დავდივართ კინოში.

ერთ ჩვეულებრივ ორშაბათს ინდური, ორსერიიანი ფილმი გამოვიდა ეკრანზე. სამშაბათს ინგა დოლიძე აღტაცებული მოვიდა სკოლაში, დიდრონი თაფლისფერი თვალები მინაბა და თქვა:

— იმდენი ვიტირე, იმდენი, რომ თვალები დამისივდა. დედიკომაც იტირა. დარბაზში ყველა ტიროდა.

ფილმის ნახვა ყველას მოგვინდა, გადავწყვიტეთ ფული შეგვეგროვებინა, ბილეთები აგვეღო და ერთად წავსულიყავით კინოში.

შინ დედას ფული ვთხოვე. უარი მითხრა:

— შაბათს ყველანი ერთად წავალთ. მამაშენი აიღებს ბილეთებს. — თქვა გადაჭრით.

მე არ მოვეშვი. დედამ სუფრის გაწყობას თავი დაანება და გაჯავრებულმა მითხრა:

— როდის იყო, მარტო დადიოდი კინოში? მე ვთქვი და გავათავე: მე და მამაშენი წავალთ და შენც ჩვენთან ერთად წამოხვალ. ამხანაგები არ ვიცი მე!

ძალიან ნაწყენი გავეცალე დედას და მამას დაველოდე. დედამ სუფრასთან სთხოვა, შაბათისთვის ბილეთები აეღო. მე ჩემი სათქმელი გავბუტე. მამას უარი არ უთქვამს. დედამ ჭამას თავი დაანება.

— მე უარი ვუთხარი, ზურაბ. პაატა ჩვენთან ერთად წამოვა.

მამამ მხრები აიჩეჩა:

— რა მნიშვნელობა აქვს? მაგის ხნის რომ ვიყავი, ყოველდღე მარტო დავდიოდი კინოში.

— მე რა მომასვენებს, ზურაბ, სახლში, ბავშვი თუ მარტო წავიდა სადმე? რა ვიცი, ვის გადაეკიდება?

— აბა გამოიბი კაბის კალთაზე! მაგის ხნის რომ ვიყავი, ორი ბიჭი გავლახე ერთად. შეყვარებულიც მყავდა.

დედას სახე აელეწა:

— დაიჩემებ ახლა, ჩემს დროს ასე იყო... მაშინ სხვა დრო იყო. რამდენჯერ გითხარი, ბავშვთან ასეთ სისულელეებს ნუ იტყვი-მეთქი.

სამივემ თავი დავანებეთ ჭამას. მე ჩემს ოთახში გავედი. მშობლები საკმაოდ სერიოზულად წაკინკლავდნენ. მამამ დილით ფული დამიტოვა, მაგრამ მე არ წავსულვარ ფილმის სანახავად... რატომ არ მენდობა დედა, მე ჩემს ამხანაგებზე ნაკლები ვარ? ან რატომ არ შეიძლება, თანაკლასელებთან ერთად წავიდე კინოში?

## ამბავი მესამე

# „უბრალო“ კითხვები

ერთ დღეს შემოვიდა ნინო მასწავლებელი ჩვეულებრივი ღიმილიანი სახით, შემოიტანა რაღაც ფურცლები, მაგიდაზე დაალაგა, მერე აგვიხსნა, სასწრაფო სამუშაო მაქვს, გაკვეთილის ჩატარება არ შემიძლიაო, და ორი კითხვა ჩაგვაწერინა: 1) „ვინ არის და როგორია ჩემი იდეალი?“ 2) „ვინ მინდა გამოვიდე და რატომ?“

ჩვენ პასუხი უნდა გაგვეცა ამ ორ შეკითხვაზე. ნინო მასწავლებელი დაჯდა და წერას შეუდგა.

საკლასო ოთახში სიჩუმე ჩამოდგა. მეგონა, ორ წუთში გავცემდი პასუხს. მაგრამ ორ წუთში კი არა, თითქმის მთელი გაკვეთილი ფიქრს მოვუნდი. ბოლოს ასე დავწერე: „არასოდეს მიფიქრია, ვინ გავხდები. დედიკო ამბობს, ექიმი უნდა გამოხვიდეო. იდეალი კი არ მყავს და არც მიფიქრია ამ საკითხზე. ნინო მასწავლებელო, როგორი უბრალო კითხვებია და რა ძნელი აღმოჩნდა მათზე პასუხის გაცემა!“

ნინო მასწავლებელს მეორე დღეს ჩვენს ნაწერებზე არაფერი უთქვამს განსაკუთრებული, მარტო ეს გვითხრა: თქვენი ნაწერები გადავიკითხე, უმრავლესობა სწორად მსჯელობსო. იმავე დღეს ისტორიის გაკვეთილი გვქონდა მომეჩვენა, რომ გულთამბზე მასწავლებელი რაღაცით განაწყენებული შემოვიდა. ჟურნალთან ერთად ჩვენი ნაწერებიც შემოიტანა. ჩანს, ნინო მასწავლებელს გადაეცა მისთვის, როგორც დამრიგებლისათვის. მასწავლებელი ერთ ხანს კარსა და ფანჯარას შორის მიმოდიოდა, ხმას არ იღებდა. კლასი განაბული იჯდა, რაღაცას ველოდით.

— თქვენი პასუხები წავიკითხე.. — დაიწყო გულთამბზე მასწავლებელმა. — ზოგიერთმა პასუხმა ისე ჩამაფიქრა, ისე მატკინა გული, აღარ ვიცი, რა გითხრათ... ზოგს გაუგია, რომ მაღალფარდოვანი ფრაზებია მო[illegible] და თვითონაც ფეხისხმას აჰყოლია. მე კი, სიმართლე გითხრათ, ასეთ გულისამრევ მაღალფარდოვნებას უბრალო, გულახდილი სიტყვები მირჩევნია. თქვენ ახალგაზრდები ხართ, ჩვენი მომავალი... მინდა გულწრფელად გამო... თქვენ უნდა ჩაიბაროთ ჩვენი ქვეყანა. თქვენ უნდა მოუაროთ საქართველოს, ერს, ენას, კულტურას, მთელ ჩვენ უმდიდრეს, უმშვენიერეს სახელმწიფოს. თქვენ კი ამ დროს აცხადებთ, რომ არ გყავთ იდეალი, არ იცით, ვინ უნდა გამოხვიდეთ და ერთთავად უფროსებს შეჰყურებთ ხელებში...

ეს სიტყვები პირდაპირ ჩემი მისამართით იყო ნათქვამი. სუნთქვა შემეკრა და გული ამიჩქარდა.

— მადლობელი ვართ გულახდილობისათვის, — განაგრძობდა აღელვებული, საოცრად აღგზნებული მასწავლებელი. — მაგრამ მიმოიხედეთ ირგვლივ და დაინახავთ, რამდენი სახელოვანი ადამიანი ცხოვრობს ამ ქვეყანად. განა არც ერთხელ არ დაგბადებიათ სურვილი მათ მიბაძოთ, ისეთები იყოთ? ვერ დავიჯერებ ამას. როგორ შეიძლება აღტაცებული არ იყოთ ან ჩვენი სახელოვანი შრომის გმირებით, ან დიდებული მწერლებით, მსახიობებით, სპორტსმენებით? თქვენ გყავთ საყვარელი მშობლები, უფროსი და-ძმა, მასწავლებლები.. იდეალი ხომ სხვა არაფერია, თუ არა მისაბაძი ადამიანი. კარგად დაფიქრდით, მიმოიხედეთ ირგვლივ. არც პროფესიის არჩევაში შეცდეთ. იგი თქვენმა მშობლებმა კი არა, თქვენ უნდა აირჩიოთ, თქვენ უკვე დიდები ხართ და აქედანვე უნდა ცდილობდეთ ცხოვრების სწორ გზას გაჰყვეთ, რათა მყარად იდგეთ ფეხზე.

საკლასო ოთახიდან გამოსულმა სულ სხვა თვალით შევხედე სამყაროს. მაშინ პირველად მომინდა დავმსგავსებოდი გულთამბზე მასწავლებელს. თუ ესაა იდეალი და მეტი არაფერი, ყოველნაირად შევეცდები კარგად ვისწავლო და იმ კუთხით ვუყურო საგნებს, ის რომ უყურებს.

ახლა რომ ხელმეორედ მკითხონ, ნინო მასწავლებ-



ლის ორივე შეკითხვას დაუფიქრებლად გავცემდი პასუხს...

## ამბავი მეოთხე

## სირცხვილი

ერთი მეათეკლასელის მამა დააპატიმრეს. ოქროპირმა ტელევიზიით გადმოსცა იმ კაცის მიერ ჩადენილი დანაშაულობანი. მერე კაცმა აღიარა, როგორ იღებდა ქრთამს და აგროვებდა ფულს. ვუყურებდი და ძალიან ვწუხდი. ეს კაცი მამაჩემი რომ ყოფილიყო, ალბათ სირცხვილისაგან გული გამისკდებოდა. სკოლაში აღარასოდეს წავიდოდი.

მეორე დღეს ის ბიჭი მართლაც არ მოსულა სკოლაში. მთელი სკოლა მასზე ლაპარაკობდა. მე ძალიან გავცხარდი, რა მისი ბრალია-მეთქი, გავიძახოდი.

— შენს ადგილზე ასე არ გავცხარდებოდი, — მითხრა მოულოდნელად ციური ჯოხაძემ.

— ვითომ რატომ? — გამიკვირდა მე.

— სახლში რომ მიხვალ, ირგვლივ დაკვირვებით მიიხედ-მოიხედე და დაფიქრდი: მამაშენმა ყველაფერი ხელფასით იყიდა?

ენა დამება. ორი გაკვეთილი იყო დარჩენილი და ძლივს დავიცადე. ისე შევაღე ჩვენი ბინის კარები, თითქოს პირველად ვიყავი აქ. შემოვიარე მთელი ბინა, ხელი შევახე ყველა ნივთს, დავაღე ყველა კარადა. ერთბაშად იატაკი ფეხქვეშ გამომეცალა და მოცელილივით დავეცი დივანზე. მთელი ორი დღე დამჭირდა, გამერკვია დედასთან თითოეული საგნის ფასი. უკვირდა, მაგრამ მაინც ხალისით მპასუხობდა. აღმოჩნდა, რომ ასი ათას მანეთზე მეტი დაეხარჯა მამაჩემს მათ შეძენაზე. მაშ რაღა უნდა მეთქვა იმ მეათეკლასელის მამაზე, როდესაც არც მამაჩემი ყოფილა წმინდა და პატიოსანი?! ყველაფერ ამას ხელფასით ხომ ვერ იყიდდა? სავსებით შესაძლებელია, ერთ მშვენიერ დღეს მოვიდეს მილიცია, დააპატიმროს მამაჩემი და ტელევიზორშიც გამოიყვანონ. მერე ყველა ჩვენზე ილაპარაკებს. მე ალბათ ვეღარ შევალ კომკავშირში. როდესაც მკითხავენ, ვინ არიან შენი მშობლებიო, რა უნდა ვუპასუხო?

გამიჭირდა მამასთან საუბრის დაწყება, მაგრამ, როგორც იქნა, გავბედე. იცინა. თუმცა მალე მიხვდა, რომ სერიოზულად ველაპარაკებოდი. ჯერ გაოცდა, მერე კი გაბრაზდა, ვინ მოგცა რევიზიის უფლებაო. მე ვთქვი, რომ წავიდოდი ოჯახიდან და მილიციაში განვაცხადებდი ყველაფერს. მამა გადაირია, გასალახავად გამოიწია. გაფითრებული დედა შუაში ჩაგვიდგა. ბრაზისაგან აკანკალებულმა მამამ მაგიდაზე დადებულ უზარმაზარ ბროლის ლარნაკს ხელი დაავლო და მესროლა. თავი გადავწიე და ლარნაკი კედელს მიეფშვნა. მე მომეჩვენა, რომ ჩემშიც რაღაც დაიმსხვრა და უწვრილეს ნამსხვრევებად სივრცეში გაიფანტა. გაოგნებული გამოვვარდი გარეთ. თვითონაც არ ვიცოდი, საით გავრბოდი. უკვე ღამე იყო. დავიღალე სირბილით. შევჩერდი. სად უნდა შევსულიყავი, ახლო მეგობარი არავინ მყავდა... ქუჩაში ციოდა და სიბნელისაც მეშინოდა. მისვლა მხოლოდ გულთამზე მასწავლებელთან შემეძლო, მხოლოდ ის გამიგებდა. მისი სახლის წინ შევჩერდი. მართალია, ფანჯრებში სინათლე ენთო, მაგრამ მაინც ვერ გავბედე ზარის დარეკვა. აკანკალებული ნელ-ნელა გავყევი ქუჩას. პიონერთა პარკში შევედი. იქ ერთი ულამაზესი ხე დგას, რომლის ძირშიც კვირაობით ვიკრიბებით ხოლმე მე და ჩემი თანაკლასელები, ლექსებს ვკითხულობთ, ვკამათობთ. მივედი და ხის ამოშვერილ ფესვზე დავჯექი. არ ვიცი, რამდენ ხანს ვიჯექი ასე, შეციებული და მშიერი. და უცებ, საიდან სადაო, მოულოდნელად თავს წამომადგნენ გულთამზე მასწავლებელი და მისი მეუღლე...

იმ ღამეს მათთან დავრჩი. მერე გავიგე, გულთამზე მასწავლებელს დედაჩემისთვის დაერეკა და დაემშვიდებინა, ამაღამ ჩემთან დაიძინებსო.

მეორე დღეს დავბრუნდი სახლში. ყველაფერი ძველებურად დამხვდა. მამა ერთხანს ხმას არ მცემდა. მეც გავურბოდი მასთან შეხვედრას და ჩემი ოთახიდან არც გამოვდიოდი.

იმ დღის შემდეგ ჩვენს ოჯახში ჩუმად მოლაპარაკე და თვალებაწრიალებული უცხო სტუმრები აღარ მინახავს. სამწუხაროდ, გვიან მივხვდი, რატომ მოდიოდნენ ისინი საღამოობით და ებოდიშებოდნენ მამას: მეტი გვეკუთვნის, ბატონო ზურაბ, მაგრამ ამჯერად გვაპატიეთო, თქვენს სამსახურს არ დაგივიწყებთო. მაგრამ შიშის გრძნობა მაინც ვერ მოვიშორე, სულ მელანდებოდა, საცაა მილიცია მოვა, მამაჩემს დაიჭერენ და მერე ტელევიზორშიც გამოიყვანენ-მეთქი. საბედნიეროდ, ასეთი რამ არ მომხდარა. იქნებ მამაჩემი მართლაც არ იყო ისეთი უსინდისო კაცი, ტელევიზორში რომ ეჩვენებინათ?

## ამბავი მეხუთე

## სიმართლისათვის

კომკავშირის წესდება და ისტორია ზედმიწევნით შევისწავლე. ყველა კითხვაზე გავცემდი პასუხს, მაგრამ მამაჩემზე რომ ეკითხათ რამე, რა უნდა მეპასუხნა? ჯერ სკოლის კომკავშირის კომიტეტში უნდა დავემტკიცებინეთ და შემდეგ კომკავშირის ქალაქკომში გაგვიშვებდნენ ბიუროზე. ისინი, ვინც კომკავშირში ჩვენამდე მიიღეს, გვაშინებდნენ: ჩვენი სკოლის კომიტეტში უფრო ძნელია გასვლა, ვიდრე ქალაქკომშიო. მეათეკლასელებს უკვირდათ, ასეთი ხმა რომ დაირხა, რადგან ორი წლის წინ თურმე ძალიან ადვილად და უბრალოდ შეიძლებოდა კომკავშირში შესვლა. ახლა კი, რაც გულთამზე მასწავლებელი ორგანიზატორად დანიშნეს, ყველაფერი შეიცვალა. ისეთი კომიტეტი გვყავს, ბევრი რამ მოაწესრიგეს სკოლაში.

სხდომა სამშაბათს ჩატარდა. ვდგავართ აბუზულები პიონერთა ოთახის კარებთან და არ ვიმჩნევთ, რომ სასტიკად ვღელავთ. ჩვენი გულშემატკივრებიც იქვე შეჯგუფულან და ელიან, რა მოხდება. პირველად ციური გამოიძახეს. საკმაო ხნის შემდეგ გაწითლებული, გახარებული ციური კი არ გამოვიდა, გამოვარდა ოთახიდან. მე ვეღარ მოვუსმინე, რას ყვებოდა, რადგან ჩემი შესვლის ჯერი იყო. მუხლები ამიკანკალდა და ძალაგამოლეულმა ძლივს შევაბიჯე ოთახში. ის ერთი კითხვა მაშინებდა: რა უნდა მეთქვა მამაჩემზე?

კომიტეტის მდივანი ლია მაჩაბელი სერიოზული სახით იჯდა მაგიდის თავში და კითხვებს მაძლევდა. ყველაფერი ვუპასუხე. მერე მეც ფრთაშესხმული გამოვვარდი გარეთ და ამხანაგებს მივახარე, ბიუროზე გამიშვეს-მეთქი... ერთი კვირის შემდეგ კი ბიუროზეც დაგვამტკიცეს.

ახლა ვზივარ და რვეულში ვიწერ იმას, რაც ყველაზე მეტად დამამახსოვრდა მერვე კლასში. ბავშვობიდან არ მყვარებია ტყუილი და ამისათვის რამდენჯერმე დავისაჯე კიდეც. საოცარია, მაგრამ ასე მოხდა... ახლა კი კომკავშირელი ვარ და არავინ მაპატიებს, სიმართლისათვის რომ არ ვიბრძოლო... ერთი რამ მაოცებს ყველაზე მეტად. რატომ სწყინთ ადამიანებს, როდესაც სიმართლეს პირშიეუბნებიან? ხოლო თუკი იციან, რომ არასწორად იქცევიან, რატომ თვითონ არ განსჯიან ხოლმე საკუთარ თავს?

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ქ ს ე ნ ი ა   მ ქ ა ვ ი ა

## შემოდგომა აჭარაში

გრილი სიო სასიამო ფიქრებს აშლის,
მზე კი მზეობს ბარშიაც და მტირალაზეც...
შემოდგომა ისეთია აჭარაში,
დაგავიწყებს, რაც გინახავს სილამაზე.

იდუმალი მღელვარებით იწვის სული
და დადიხარ უცნაური ვნებით მთვრალი;
სხვაგან ასე არ ზეიმობს მიწის გული,
სხვაგან ასე არ ბრდღვიალებს ზეცის თვალი.

შემოდგომის დილაც ნახე, შეღამებაც,
ყვავილების სიტურფე და მოკრძალება,
ნახე ფერთა საამური შეხამება,
ქარვისფერის, ოქროსფერის მოძალება,

ყანლის მთაზე დილით მზე რომ შემოდგება,
ანდა ზვარში მტევანი რომ ბადაგდება...
თუ არ ნახე აჭარაში შემოდგომა,
რაღაც თბილი, რაღაც ტკბილი დაგაკლდება.

ნ ე ს ტ ო რ   მ ა ლ ა ზ ო ნ ი ა

## ტყე

ხე ნაწილია ტყისა,
კვირტი — დედაა ფოთლის.
კარგი ყმაწვილი ისაა,
ვინც ტყის სიკეთეს მოთვლის:

ტყე გვაძლევს შეშას, ფიცარს
და ქარისაგან გვიცავს,
ხის ტარს ვუკეთებთ ფიწალს,
და ხე გვიმაგრებს მიწას.

ტყის ბინადარი ყოველი,
ფრინველია და ცხოველი,
მშრომელი ღამის, დღისა —
მეგობარია ტყისა,



ტყეში ცხოვრობს და იცავს
ყველა სიკეთეს მისას.

ჩიტსაც სავსე აქვს გული
ბუნების სიყვარულით.
და მადლობასაც უხდის
სტვენით და ჟრიამულით.

არ ზოგავს მხოლოდ უვიცი
მოამაგეს და საფარს.
დიდი სიკეთის სანაცვლოდ
ანადგურებს და კაფავს.

ხე ნაწილია ტყისა,
კვირტი — დედაა ფოთლის.
კარგი ყმაწვილი ისაა,
ვინც ტყის სიკეთეს მოთვლის...

ჯემალ ქათამაძე

## ზარმაცი ბიჭი

არ კითხულობს წიგნებს მიტო,
დადის ჩუმი ფიქრებით:
„მალე, როცა გავიზრდები,
კოსმონავტი ვიქნები!“

გიამ უთხრა: „შე ზარმაცო,
მე ვიქნები თავდები,
ფრიადზე თუ არ ისწავლი,
შოფერიც ვერ გახდები“.

## ფალავანი

ვეება გემს შეჰყურებდა
და ფიქრობდა ჩუმად ნანა:
„ზღვა თუ ამას კი ზიდულობს,
მე რა გავხდი ამისთანა?!“



ბექირ გათენაძე

## ზღვასთან

მოდის ბიჭი — ცეროდენა
უძლეველი ფალავანი.
თავზე ხურავს პაპის ქუდი,
ფეხთ აცვია ქალამანი.
წრეში უცებ შემოიჭრა,
გაარღვია გალავანი.
ყვინჩილები გაჰყივიან:
რა ბიჭია ყარამანი!

ნოშრევან ირემაძე

## თინიკოს ვეფხვი

თინამ აიღო ფანქარი
და გადაშალა რვეული,
ფისოს ხატავდა... და ვეფხვი
გამოუვიდა წყეული.
ვეფხვი იყო და რა ვეფხვი! —
შეშლილი, გადარეული.
და თიკომ ბოძზე მიაბა
ის მხეცი ბრაზმორეული.

## ექიმი კოდალა

ტყეს მე ისევე ვჭირდები,
როგორც ავადმყოფს —
ნემსები.
ხის ტანს ნისკარტით
ვმკურნალობ,
რომ არ გაუხმეს ფესვები.

# პიონერული ამბები

## თანამედროვე არგონავტები

...პირდაპირ კედელზე ანთებულა უზარმაზარი ნარინჯისფერი მზე, მრისხანედ აქოჩრილან ვეებერთელა ლურჯი ტალღები, რომელთაც გაბედულად მიაპობს ლეგენდარული „არგო“: იგი კოლხეთში ოქროს საწმისის მოსაპოვებლად მოცურავს...

ეს შთამბეჭდავი სურათი ბათუმის რესპუბლიკურ პიონერთა სასახლესთან არსებული კლუბის — არგონავტების ემბლემიდან არის გადახატული.

დიდებული დევიზი აქვს კლუბს: „ვანათოთ ყველგან, ვანათოთ მარად!“ (ვლ. მაიაკოვსკი). და ყველაფერი, რაც აქ კეთდება, ამ დევიზის გამართლებასა და ხორცშესხმას ემსახურება.

...ძალზე თავკერძა და თავისებური ბავშვი იყო ლევან ა-ი. მასწავლებლები საყვედურობდნენ: „მოუსვენარია, გაკვეთილზე ხელს გვიშლის“; თანაკლასელები ლევანის მხარეს იჭერდნენ: „კარგი ამხანაგია!“ პიონერხელმძღვანელი ეჭვობდა: „ვაითუ გზას ასცდეს...“ არგონავტებმა კი თქვეს: „ჩვენ სწორედ ასეთები გვჭირდება — აქტიურნი, მოუსვენარნი, დაუდგრომელნი...“ და მიიღეს კიდეც კლუბის წევრად.

ხანი გამოხდა. გაძნელდა ლევანის დაინტერესება კლუბის საქმიანობით... მაგრამ ერთხელ სასახლეში მივიდა ცნობა, რომ ბათუმში პოლონელი მოსწავლეები უნდა ჩამოსულიყვნენ და აქაურ პიონერებს უნდა ემასპინძლათ. გიდობა ლევანს დააკისრეს... ბიჭს ჯერ ფერი დაეკარგა, მერე კი უცებ გაუცისკროვნდა თვალები... წიგნებს ჩაუჯდა, შეისწავლა ქალაქის წარსული, მის ღირსშესანიშნაობათა ისტორია, კულტურა, მრეწველობა... და ისეთი გიდობა გაუწია უცხოელ თანატოლებს, გამოცდილ ექსკურსიამძღოლს შეშურდებოდა.

თერთმეტი წელია, რაც არგონავტთა კლუბი მომავალი თაობის კომუნისტურ, პატრიოტულ, ინტერნაციონალურ, შრომითს, ესთეტიკურ აღზრდას ემსახურება. მისი ყოფილი წევრები ახლა სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგის ცნობილი მოღვაწენი არიან.

კლუბის საპატიო პრეზიდენტია ლეგენდარული კაპიტანი ანატოლი კაჭარავა. სამამულო ომის დროს მისი მშვიდობიანი ხომალდი, ყინულმჭრელი „სიბირიაკოვი“, უთანასწორო ბრძოლაში ჩაება გერმანულ საზაზო გემ „ადმირალ შეერთან“ და გმირულად დაიღუპა... კაპიტან კაჭარავაზე წიგნები დაიწერა, გადაღებულია ტელეფილმი... მის მაგალითზე ბევრი არგონავტელი იზრდება.

## პატარების დიდი ხელოვნება

ანსამბლ „გაზაფხულს“, რომელიც ბათუმის პიონერთა და მოსწავლეთა პარკთან არსებობს, უკვე ოთხი ათეული წლის ისტორია აქვს. მისი წევრები უმთავრესად მეოთხე-მეექვსე კლასელი პიონერები არიან. აქა-იქ ოქტომბრელებიც ურევიან.

ანსამბლს ამჟამად მისივე აღზრდილი თამაზ ბეჟანიძე ხელმძღვანელობს. აღსანიშნავია, რომ აჭარის ასსრ ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი ძირითადად „გაზაფხულის“ აღზრდილებითაა დაკომპლექტებული.

„გაზაფხულმა“ თავისი არსებობის მანძილზე უამრავი კონცერტი გამართა მშობლიურ ბათუმში, თბილისში, ბაქოში, ერევანში, კიევში, რიგაში, ლენინგრადში, მოსკოვში... 1968 წელს, „ორლიონოკში“ ჩატარებულ ბავშვთა ხელოვნების 1-ელ საკავშირო ფესტივალზე, ლაურეატის წოდება მოიპოვა; იმავე წელს რამდენიმე წევრმა იმოგზაურა პოლონეთში; 1969 წლის იანვარში საქართველოს ტელევიზიამ 40 წუთი დაუთმო „გაზაფხულის“ კონცერტს; 1975 წელს 30-მა მოცეკვავემ კონცერტები გამართა ბულგარეთის ქალაქ ბლაგოევგრადში. 1979 წლის ზაფხულში რუმინეთის ერთ-ერთ პიონერულ ბანაკში მიწვეული იყო ანსამბლის ორი წამყვანი მოცეკვავე — ლელა გუნცაძე და ზურაბ შარაძე, აგვისტოში კი პოლონეთს ეწვია 40 კაციანი დელეგაცია (მათ შორის — 31 მოცეკვავე) ბავშვთა საერთაშორისო წლის აღსანიშნავ ღონისძიებაში მონაწილეობისათვის. ანსამბლმა უცხოელ თანატოლებს თორმეტი (მათ შორის ოთხი ახალი) ცეკვა უჩვენა.

ანსამბლში მონაწილეობენ ბათუმის თითქმის ყველა სკოლის, აგრეთვე ახლომდებარე სოფლების — ჩაისუბნისა და ანგისის სკოლების მოსწავლეები.

„გაზაფხულის“ მაღალმა ოსტატობამ დიდ-პატარა მაყურებლების გული მოინადირა.

## პიონერული ყვავილეთი

ნორჩ ნატურალისტთა რესპუბლიკური სადგური ბათუმელ მოსწავლეებში დიდი პოპულარობით სარგებლობს. სადგურის სხვადასხვა სექციაში (ნორჩი მეყვავილეები, მემტრედეები, მხარეთმცოდნეები, მეჩაიეები, სუბტროპიკოსები, ბუნების დამცველები...) 600-ზე მეტი მოზარდია გაერთიანებული.

ნორჩ მეყვავილეთა სექცია (მეთოდისტი ლუიზა გუჯაბიძე) 100-ზე მეტ ბავშვს ითვლის. ქალაქის ყველა კუთხიდან, თითქმის ყველა სკოლიდან დადიან აქ ბავშვები, თავს ევლებიან საკუთარი ხელით გამოზრდილ ყვავილნარს, ესათუთებიან თითოეულ მცენარეს, იმაღლებენ და განიმტკიცებენ სკოლაში მიღებულ ცოდნას. დღენიადაგ დაფუსფუსებენ კვლებსა და ორანჟერეებში, ახარებენ სხვადასხვა ჯიშისა და ფერის დეკორატიულ მცენარეებს — ვარდსა და კამელიას, ბზასა და მიხაკს, სანფერა იასა და ქართულ ზამბახს, ტიტასა და ჰორტენზიას, ბეგონიასა და კაქტუსს, ფიკუსსა და ეუფორბიას.

უშუალო დაკვირვების საფუძველზე მოსწავლეებს გამოაქვთ დასკვნა, თუ რა პირობებია აუცილებელი ამა თუ იმ მცენარის ნორმალური ზრდა-განვითარებისათვის, იძენენ შრომითს ჩვევებს, მიღებულ ცოდნას იყენებენ სკოლაში ბიოლოგიის კაბინეტის, ცოცხალი კუთხეების მოწყობისას, სკოლის ან კარ-მიდამოს გამწვანებისას. რაც მთავარია, ეს მოსწავლეები ბუნების აქტიური დამცველები არიან და ამისაკენ მოუწოდებენ უმცროსებსაც (და არა მარტო უმცროსებს!).

ნორჩ მეყვავილეთა მიერ გამოყვანილი ასობით ბზისა და სხვადასხვა ყვავილის ნერგები ყოველწლიურად ეგზავნება ბათუმის, საქართველოს სხვა ქალაქებისა და მოძმე რესპუბლიკების სკოლებსაც კი.

განსაკუთრებით ელოლიავებიან პიონერები „წითელ წიგნში“ შეტანილ მცენარეებს — ბზას, დაფნას, ლეღვს, აკაკის ხეს, ვაზის იშვიათ ჯიშებს.

მეყვავილეთა სამუშაო ოთახებში მოწყობილია ყვავილოვან მცენარეებზე ცდა-დაკვირვებათა ამსახველი სტენდები, აღნუსხულია მათი ისტორია, ბიოლოგიური თავისებურებანი, წარმოდგენილია ფოტო და ცოცხალი მასალა.

ბათუმის ნორჩ ნატურალისტთა რესპუბლიკური სადგური სახალხო მეურნეობის მიღწევათა საკავშირო გამოფენის მუდმივი წევრია, ესმაურება მის ყოველ ღონისძიებას და რამდენჯერმე დაიმსახურა კიდეც მაღალი ჯილდოები.

## ეცნობიან ტექნიკის საფუძვლებს

ნორჩ ტექნიკოსთა სადგურის 12 სხვადასხვა საგნობრივ წრეში 600-მდე ბავშვი ირიცხება. წრეებში ძალზე საინტერესო და სასარგებლო მუშაობაა გაჩაღებული, ბავშვები იმდიდრებენ სკოლაში შესწავლილ მასალას და, პირიქით, წრის მეცადინეობაზე შეძენილ ცოდნას და ჩვევებს წარმატებით იყენებენ გაკვეთილებზე.

სადგური ყოველწლიურად ატარებს კონკურსებს, მონაწილეობს რესპუბლიკურსა და საკავშირო კონკურსებში, აგრეთვე სახალხო მეურნეობის მიღწევათა საკავშირო გამოფენებში. ბევრი ნამუშევარი მედლით, სხვადასხვა სახის დიპლომებით თუ ფასიანი საჩუქრებით აღინიშნა. მაგალითად, 26-ე რესპუბლიკურ კონკურსში თავი ისახელეს ბათუმელმა მოსწავლეებმა შოთა გურგენაძემ, დავით გულუამ, გოჩა ბერიძემ, კახაბრელმა ზურაბ არძენაძემ, მახინჯაურელმა სერგო კოშკინმა, ურეხელმა შუქრი ბესელიძემ...

აქტიურად მუშაობენ სპორტული წრეები — გემთსამოდელო, ავტოსამოდელო, რადიოსპორტული, ავიასამოდელო. წლების მანძილზე სხვადასხვა შეჯიბრებებში ისინი საპატიო საპრიზო ადგილებს იკავებენ. საქართველოს ჩემპიონია სადგურის 43 წევრი, რომელთაგან ზოგმა ორ-ორჯერ მოიპოვა ეს მაღალი წოდება.

რესპუბლიკურ ჩემპიონატში მიმდინარე წელს სადგურის წარგზავნილებმა მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვეს: პირველი ადგილი რადიოგრამების მიღება გადაცემაში; ვადიმ პლუჟნიკოვი და ელვირა რახანიანი (შესაბამისად ბათუმის 24-ე საშუალო სკოლის მერვე კლასი და მე-8 საშუალო სკოლის მეშვიდე კლასი) საქართველოს ნაკრებში შეიყვანეს და



✱ აქედან, გემთსამოდელო წრის კაბინეტიდან, იწყება დიდი საოკეანო გზები.

მონაწილეობას მიიღებენ საკავშირო ასპარეზობაში; მეორე ადგილზე გამოვიდნენ რადიოსპორტული და გემთსამოდელო გუნდები; ასევე, იმედები გაამართლა ავტოსამოდელო გუნდმა, მისი ორი წევრი — ვადიმ პლუჟნიკოვი და იური ოგანეზოვი საქართველოს ჩემპიონი გახდა.

ნორჩ ტექნიკოსთა სადგურს (არსებობს 1933 წლიდან) თავისი ტრადიციები და ბევრი რამ საამაყოც აქვს. მისი აღზრდილები ახლა სახელოვანი ადამიანები არიან. ვილი ბარამიძე, მაგალითად, ლენინგრადის ერთ-ერთი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ინჟინერია, ვარლამ ქებულაძე — თბილისის უნივერსიტეტის მათემატიკის კათედრის პროფესორი, გარი მერკვილაძე — ავიაციის გენერალი, ანატოლი ბარაბანოვი ლენინგრადის პოლიტექნიკური ინსტიტუტის თეორიული მექანიკის კათედრის დოცენტია და ა. შ.

ძნელი არ არის გამოვიტანოთ დასკვნა: ნორჩ ტექნიკოსთა სადგური ფრიად ეფექტურად უწყობს ხელს მოსწავლის თეორიული ცოდნის პრაქტიკული საქმიანობით განმტკიცებასა და გაღრმავებას. ამას ემსახურება გამოცდილ პედაგოგთა მთელი უნარი და ენერგია. მთავარია, მოზარდმა გამოიჩინოს ინტერესი, მონდომება და სიბეჯითე



✱ ყვავილების ზრდა-განვითარებაზე სისტემური დაკვირვება გაკვეთილზე შეძენილი ცოდნის განმტკიცების საწინდარია.




ნორჩ კორესპონდენტთა ჟურნალი № 11

## ჩირაღდანი

ლენინის სიბრძნე ჩვენს გულში
ხარობს,
არ გვავიწყდება არც ერთი წამით,
ჩვენს ნორჩ გონებას ამდიდრებს,
აწრთობს,
ჩირაღდანია დღისით და ღამით.

წინ მივისწრაფვით რწმენით
აღსავსე,
სამშობლოს დროშა გვიჭირავს
მაღლა...
ამ გაბრწყინებულ და მართალ
გზაზე
არ ვიცით, რაა შიში და დაღლა.

სულიკო ბერიძე

1979 International Year of the Child

„აისის“ ეს ნომერი ეთმობა ბათუმელ მოსწავლეთა შემოქმედებას.

## მიზანი

...ჭყვიტინებდა ზურნა, ქარს შორიდან მოჰქონდა ნაზი ჰანგი:

„შენ აღდგომის ცისკარი ხარ,
გულნარა!“

ბნელოდა, აივნიდან გავცქეროდი ვარსკვლავებით მოქარგულ ცას.

აი, ეს ვარსკვლავი, დიდი და ყველაზე ციმციმა, — ჩემი ვარსკვლავია. იგი მუდამ საიდუმლოდ მეჩურჩულება. მეც ვჩურჩულებ:

— გამარჯობა, ჩემო მეგობარო, ჩემი გულის მესაიდუმლევ, გამარჯობა!

როცა კამკამა, ლურჯთვალა ზეცას
ვარსკვლავთ ლაშქარი შემოესევა,
აციმციმდება ჩემი მნათობიც,
თვალს ჩამიკრავს და მეალერსება.

ახლაც აციმციმდა ჩემი ვარსკვლავი და უცებ გაქრა; მის ადგილას კი სანდომიანი სახის თმაშევერცხლილ მამაკაცს მოვკარი თვალი.

ისევ ჭყვიტინებდა ზურნა.

ვარსკვლავეთიდან კი თბილი ბარიტონით მესაუბრებოდა თმაშევერცხლილი მამაკაცი:

„ცა წიგნია, მიწაც წიგნია, მხოლოდ მისი წაკითხვა უნდა შეგეძლოს, თუ ამას მოახერხებ, ადვილად ივლი ცხოვრების რთულ გზაზე. მთავარია, სწორად განსაზღვრო მიზანი...“

გაიფანტა მირაჟი.

...რამდენი ლამაზი მიზანი აქვს ადამიანს! მეც ბევრი, ძალიან ბევრი მიზანი მაქვს. მინდა სულ კარგი საქმე ვაკეთო. მინდა მხოლოდ კეთილი თესლით გავამდიდრო წინაპართა ძვლებით გაპოხიერებული მიწა. ამიტომ ჯერ საბუდარი უნდა შევიცვალო, უფრო დიდ ბუდეში უნდა გადავსახლდე. როგორ მენანება ჩემი სკოლის, აღმზრდელების, თანაკლასელების, ჩემი მერხის მიტოვება, მაგრამ...

„მოძრაობა და მარტო მოძრაობა არის ქვეყნის ღონისა და სიცოცხლის მომცემი!“ — გადმომძახა დიდმა ილიამ ვარსკვლავეთიდან.

...ჰო, მოძრაობა და წინსვლა... ინსტიტუტი, წიგნი, ძიება... ისევ სკოლა, თვალეჟუჟუნა გოგონები და ბიჭუნები... კალამი და თეთრი ღამეები...

ციმციმებდა სიხარულით გაცისკროვნებული ჩემი ვარსკვლავი.

„ათას ერთი ღამის“ გაცოცხლებას ჰგავდა აივნიდან დანახული ცარგვალი.

„შენ აღდგომის ცისკარი ხარ,
გულნარა!..“

ჭყვიტინებდა ზურნა...

მანანა სულაბერიძე

## მამულო

მოვდივართ ლექსით, სიმღერით,
დიდი ილიჩის ალამით
და ვეგებებით შენს დილას
პიონერული სალამით.

ვიქნებით შენი ერთგული,
შენი ურომს და ნამგალის.
შენა ხარ ჩვენი სუნთქვა და
პატარა გულის ფანცქალი.

ალექსანდრა ბერიძე





## ზამთარი

მოვიდა თოვლი,
გადაპენტა თეთრად მთა-ბარი,
მან მოგვიტანა თოვლის პაპა,
დიდი ზამთარი.
ოჰ, რა კარგია
ეს ლამაზი, ფაფუკი თოვლი
და თოვლის პაპა, ჩვენს ეზოში
დარაჯად მდგარი.

**ნინო სურმანიძე**

## ფიროსმანი

ჩაბნელებული სარდაფი,
ფეხმორყეული სკამი,
ოთახში — დიდი ტილო,
ფუნჯი და ფიროსმანი.

ზღაპრულ სამყაროს უცქერს
ღვინიან ჭიქით ხელში...
ტილოზე — ფერთა ცვენა,
ჭვრეტა ფერიდან ფერში.

სარდაფში — სიღარიბე,
გარეთ — წვიმა და ქარი...
მხატვრის მდიდარი ხილვა,
ტილოზე — მზე და დარი...

**მანანა ხაჯიშვილი**

## ფისო და მურია

— ფისო, მოდი, ვითამაშოთ, —
ევედრება ფისოს მურა,
თანაც ციცქნა თვალებს აჭყეტს,
ლამაზია, კუდფუმფულა.

— მიავ, მიავ, მე რომ მშია?
თუ გაქვს რამე, წამოგყვები.

— არაფერიც აღარა მაქვს!
გადავსანსლე პურიც, ძვლებიც.

— მაშინ აღარ წამოგყვები, —
ფართოდ ახელს ფისო თვალებს,
თან თათებით ეჭიდება
გადარაზულ რკინის კარებს.

— ვაი, მურა, არც კი იცი,
დაგვიკეტა ლიამ კარი,
მოდი, ერთად ავღრიალდეთ,
შევაჯეროთ მთა და ბარი.

მაგრამ ამ დროს თვითონ ლიამ
შემოაღო უცებ კარი
და ორივეს მოუტანა
გემრიელი სასუსნავი.

**გვრიტო კომახიძე**

## თოვლი ბათუმში

სანაპირო თეთრ სამოსში გახვეულა,
არემარეს თოვლის ფიფქი უხვად
სცვივა,
მებრალება ჩიტუნები, ვფიქრობ
გულში:
პაწაწინებს ხომ არ შიათ, ხომ არ
სცივათ?

ეგ ყინულის ლოლუები ჩურჩხელებს
ჰგავს,
ბებოს მიერ ამოვლებულს თათარაში,
დაუბერა. ისევ ვფიქრობ:
ლოლუები არ დატყდება ნეტავ
ქარში?

გუნდაობენ ჩვენი ეზოს პატარები,
თოვლის პაპას თავს ევლება ჩვენი
გია,
დედა, დედა! ამოდენა თოვლის ზვინი
ჯერ ბათუმში არასოდეს მინახია.

**მაია არჯევანიძე**



**პეიზაჟი.** მალხაზ ხუნდაძე, VI კლასი.

## გაზაფხული

ტყე-ველმა მწვანე
ფარჩა ჩაიცვა,
მთებში ამღერდნენ
ნაკადულები.
თეთრად დაათოვს
ვაშლებს და ტყემლებს,
მოვლენ პეპლები
ფრთახატულები.
ბუნებამ ფერი
სწრაფად იცვალა,
ცაში ტოროლა
ლაღად წკრიალებს.
ყვავილს კვლავ
ყელი
მოუღერია,
ნაზი პეპელა
თავს დასტრიალებს.

**ნატო ჭელიძე**



**ჩემი სოფელი.** კახა ჩიკაშვილი, VIII კლასი.

**ბეჭითი.** ნოდარ სირაბიძე, VI კლასი.

**ნავსადგურში.** ბესიკ ძნელაძე, VII კლასი.

## პატარა ნინო

მე პატარა გოგონა ვარ,
მეძახიან ნინოს,
დედას დილით დავყავარ
ბაღში სასეირნოდ.

ნაზი სიო ნელ-ნელა
ფოთლებს აშრიალებს
და ხის ძირში ამოსული
ია ნაბავს თვალებს.

**მანანა აფხაზავა**



# ჯემპრი

ძვირფასო ბავშვებო, სარვეშვარ დაიალ საქსენა (დაიბადა 1927 წ.) ერთ-ერთი თვალსაჩინო ინდოელი პოეტი და პროზაიკოსია. ცხოვრობს დელში, წერს ჰინდი ენაზე. მისი მოთხრობა „ჯემპრი“ ადამიანურ სიკეთეზეა დაწერილი. წაიკითხეთ იგი და დაფიქრდით, სწორად მოიქცა თუ არა მოთხრობის მთავარი გმირი.

## სარვეშვარ დაიალ საქსენა

მხატვარი იოსებ სამსონაძე

მ ო თ ხ რ ო ბ ა

სამახსოვროს მოვლის უნარი ის დიდი ნიჭია, რომელიც მე არ გამაჩნია. თუმცა ვიცნობ ადამიანებს, რომლებიც სასოებით ინახავენ სრულიად უმნიშვნელო ნივთსაც კი, თვალები უბრწყინავთ ხოლმე, როცა მას ვინმეს აჩვენებენ და ჩურჩულით ამბობენ: ეს ამის და ამის სამახსოვროაო. მე კი სულ ვფიქრობ, რა გულქვა ვინმე ვარ, რომ სამახსოვროს მოვლის უნარი არა მაქვს.

მახსოვს, ავადმყოფმა დედაჩემმა უკანასკნელი დღეები ლოგინში გაატარა. მწოლიარემ ჯემპრი მომიქსოვა, მიმიხმო და მთრთოლვარე ბაგეებით მითხრა:

— შვილო, ეს ჯემპრი არავის მისცე! ვინ იცის, იქნებ ისე მოვკვდე, ველარაფერი გაჩუქო. ხომ ხედავ, ხელებს ძლივს ვამოძრავებ, თვალშიც თანდათან სინათლე მაკლდება. ვერ წარმოიდგენ, რა გაჭირვებით მოგიქსოვე ეს ჯემპრი.

მერე ხელების კანკალით ჯემპრი ჩამომაცვა და სახე კმაყოფილებისაგან ისე გაუნათდა, თითქოს ძალა შეემატაო. ლოგინად ჩავარდნილ დედას აღვუთქვი, რომ ამ ჯემპრს მთელი სიცოცხლის მანძილზე გავუფრთხილდებოდი.

დედა მალე გარდაიცვალა. მოვიდა ზამთარი. უნივერსიტეტში კარგა ხანს ხალათისამარა დავდიოდი, არც კოსტიუმი მქონდა, არც იმის საშუალება, რომ შემეკერა. ყველაფერი, რაც დედის სიკვდილის შემდეგ დამრჩა, დამეხარჯა და გამომელია.

ერთ დღეს ძალიან ციოდა და სამახსოვრო ჯემპრი ჩავიცვი თუ არა, ასე მეგონა, დედას თბილ მკერდში ჩავეხუტე-მეთქი. გუნებაში თავს ვიმართლებდი: დედამ ჯემპრი იმისათვის მომიქსოვა, რომ არ შემცივდეს. აკი სწორედ ეს იყო მისი სურვილი — ჯემპრი მეტარებინა, დედას უაზრო სიყვარული სიყალბედ მიაჩნდა და ამბობდა: თუ ვინმე გიყვარს, მისი სურვილიც უნდა შეასრულოო. ჰოდა, მეც დედის სურვილი შევასრულე.

სამი თუ ოთხი დღის შემდეგ ისე შევეჩვიე ჯემპრს, რომ მთელ ზამთარს მეცვა, თან ისე მიხდებოდა, რომ უიმისოდ თავი ველარც კი წარმომედგინა. ერთი სიტყვით, სამახსოვრო ჯემპრი იყო ერთადერთი რამ, რაც სიცივისაგან მიცავდა. მაგრამ ნელ-ნელა იგი ჯერ იდაყვებზე გაიცრიცა, მერე ალაგ-ალაგ გაიხა კიდეც. როცა ამოსაკემსავად მივიტანე, ასე მითხრეს: მაგ ჯემპრს ალარაფერი ეშველება, სჯობს სულ გადააგდოო.

მაგრამ რაკი ავიჩემე, აღარ მოვეშვი და ამოვაკემსინე. ცოტა ხნის შემდეგ ჯემპრი იდაყვებზე სულ გაცვდა და სახელოები მოვარღვევინე. მერე კარგა ხანს აღარ ჩამიცვამს, მაგრამ ერთ დღეს, როცა ძალიან აცივდა, იძულებული გავხდი ისევ ჩამეცვა. ასე რომ, ერთ ზამთარს კიდევ ერთგულად მემსახურა მკლავებმორღვეული ჯემპრი.

როცა უნივერსიტეტი დავამთავრე, კოსტიუმი შევიძინე და ჯემპრი ძველ სკივრში ჩავაგდე. ამ დროს მას შნო და ლაზათი მთლად დაკარგული ჰქონდა — მკერდზე გაცრეცილი იყო, ირგვლივ ჩამოძენძილი, ჭრელაჭრულა ძაფებით აქა-იქ ამოკემსილი. ექვსი თუ შვიდი წელი ჯემპრი ხელუხლებლად მეგდო. როცა დავხედავდი, დედა მაგონდებოდა და გული სიამაყით მევსებოდა. მაგრამ ერთხელ მოულოდნელი რამ მოხდა.

ისევ დაზამთრდა. გავხსენი ჩემი სკივრი და სხვა თბილ სამოსელთან ერთად ჩემი ძველი ჯემპრიც ამოვიღე. იმ ხანებში ჩემთან ერთი ათი-თერთმეტი წლის შინამოსამსახურე ბიჭუნა ცხოვრობდა. როცა მან ჩემი ჯემპრი დაინახა, თვალები ხარბად აენთო და მთხოვა:

— მაჩუქეთ ეგ ჯემპრი, თქვენ ხომ მაინც აღარ იცვამთ. მე კი გამომადგება ამ ზამთარში.

ბიჭუნას მაშინ გავუჯავრდი, უფრო იმიტომ, რომ უცებ ვერ მოვახერხე მისთვის სწორი პასუხი გამეცა. მართალია, მას ჯემპრი მართლაც გამოადგებოდა, მაგრამ არ ვაჩუქე. თუმცა უნდა გამოგიტყდეთ, რომ მისი სიტყვები ისრებივით მომხვდა გულში და დიდხანს ჭიასავით მღრღნიდა, მაწვალებდა. თან გუნებაში ვფიქრობდი: მე ხომ დიდხანს მემსახურა ეს ჯემპრი, მართლაც, რა მოხდება, რომ ახლა იგი ამ ბიჭუნას მივცე, ზამთარში გამოადგება, თანაც ჯემპრს სიცოცხლეს გავუხანგრძლივებ-მეთქი. მაგრამ თავი ვერ დავძლიე, თითქოს ვიღაცამ ჩიხში მომამწყვდია და გამაფრთხილა: არ გაბედო, ეს ჯემპრი ხომ დედის უკანასკნელი სახსოვარიაო.

კარგა ხანს ვებრძოდი საკუთარ თავს, ბიჭუნას ყოველი დანახვისას გადავწყვეტდი მისთვის ჯემპრის მიცემას, მაგრამ რაღაც გაუგებარი, აუხსნელი გრძნობა მაჩერებდა, ხელს მიშლიდა გადამედგა ეს ნაბიჯი.

ერთხელ, როცა ზამთრის ძალიან ცივი დღეები იდგა, ეზოში ჩემს შინამოსამსახურე ბიჭუნას მოვკარი თვალი. იგი სიცივისაგან ცახცახებდა და გალურჯებული ხელებით ნახშირს ამტვრევდა, ცეცხლი რომ დაენთო.

აკანკალებული ბიჭუნას დანახვაზე თითქოს გონს მოვედი, მისმა სიბრალულმა გული დამწვა, საოცრად შემრცხვა, მყისვე სადღაც გაქრა სამახსოვრო ჯემპრის უცნაური სიყვარული. ვიფიქრე, დედასაც ხომ გაუხარდებოდა, რომ ნივთი, რომელიც მე არაფერში მარგია, მიმეცა იმისთვის, ვისაც იგი უფრო გამოადგებოდა? ახალმა გრძნობამ იფეთქა ჩემში და სულის სიღრმიდან ამომძახა: აჩუქეო ბიჭუნას ჯემპრი! ეს იყო გრძნობა, რომელიც თურმე თან

უნდა სდევდეს ადამიანს დაბადებიდან სიკვდილამდე. მაშინ დედასაც რომ ეთქვა, ბიჭუნას ჯემპრი არ აჩუქოო, ან დედას კი არა, მთელ ქვეყანას რომ დაეყვირა ჩემთვის — „ოჰ, შე უსინდისოო!“ — მაინც ვერ გადამათქმევინებდა.

მეორე დღეს ბიჭუნა მოვიხმე და ჯემპრი ვაჩუქე. სული და გული აუწერელმა სიხარულმა ამივსო, მკერდში ისეთი სითბო ვიგრძენი, როგორც მაშინ, დედამ ეს ჯემპრი რომ ჩამომაცვა თავზე მთრთოლვარე ხელებით და მიანდერძა, გაუფრთხილდიო. მაგრამ განა ყველა მიმიხვდება, რატომ ვაჩუქე ბიჭუნას ჯემპრი?

მალე მოსამსახურე ბიჭუნა ჩვენი სახლიდან გაიპარა, და ახლა, როცა დავინახავ ხოლმე ვინმეს, ვისაც ჯემპრი აცვია, გუნებაში ვამბობ: რა გულქვა ვინმე ვარ, რომ სანუკვარი სამახსოვროს შენახვის უნარი არა მაქვს-მეთქი.

ჰინდი ენიდან თარგმნა
ნ. კენჭოშვილმა






# ზნეობის ანბანი

**ინტერნაციონალიზმი —** მშრომელთა საერთაშორისო, ეროვნებათა შორის სოლიდარობის იდეოლოგია და პოლიტიკა, რომელიც დამახასიათებელია მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიისა და პრაქტიკისათვის.

ყოველდღე როგორც კი ხელში გაზეთს ავიღებთ, მისი სახელწოდების გვერდით ვხედავთ სიტყვებს: „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!“ ეს მოწოდება პირველად ასი წლის წინათ გაისმა, ახლა კი მთავარ დევიზად იქცა ყველა მშრომელისა და პირველ რიგში კომუნისტებისათვის, რომლებიც ებრძვიან კაპიტალიზმს, იმ სოციალურ წყობას, სადაც ერთმანეთს უპირისპირდება ეროვნებათა და ხალხთა ინტერესები.

ინტერნაციონალიზმის ტრადიციები კომკავშირში მისი შექმნის პირველ დღეებიდანვე ჩამოყალიბდა და მტკიცედ დამკვიდრდა ქალიშვილებისა და ჭაბუკების შეგნებასა და ცხოვრებაში.

ჩვენი მრავალეროვანი ქვეყნის სხვადასხვა ერის წარმომადგენლები ერთმანეთის მხარდამხარ მუშაობენ სამშენებლო რაზმებში, საქარხნო ბრიგადებში, ერთმანეთის გვერდიგვერდ სხედან სტუდენტთა აუდიტორიებში, სკოლებში. ასობით ჩვენი ახალგაზრდა სპეციალისტი აშენებს სხვადასხვა საწარმოს აფრიკის, აზიის ქვეყნებში, მუშაობს საავადმყოფოებში, ასწავლის ბავშვებს და ახალგაზრდებს იმ ქვეყნებში, სადაც ჯერ კიდევ არა აქვთ განათლების საკუთარი სისტემა.

ჩვენი ქვეყნის სკოლებში, სასწავლებლებში, პიონერთა სასახლეებში შექმნილია და მუშაობს ინტერნაციონალური მეგობრობის კლუბები, რომლებიც ხელს უწყობენ მოზარდების პოლიტიკური აქტიურობის ზრდას.

ერთ-ერთ ასეთ კლუბზე გვინდა ახლა გიამბოთ.

...1974 წლის იმ შფოთიან დღეებში ყველას ჩილეს ამბები ეკერა პირზე. პიონერულ ბანაკ „ორლიონოკში“ ყოველ დილით უსმენდნენ უკანასკნელ ცნობებს. ბანაკის უფროსის მოადგილე გ. პ. პოპოვი, რომელიც ახალი დაბრუნებული იყო ჩილეში მოგზაურობიდან, ბევრს უამბობდა ბავშვებს ამ ქვეყანაზე, იქ ახალშექმნილ პიონერულ ორგანიზაციაზე. და უცებ... ფაშისტური გადატრიალება.

საშა საგაიდაკი რადიომიმღებს არ სცილდებოდა. ყველაზე უმცროსებიც კი ყოველ წუთში მირბოდნენ მასთან და ეკითხებოდნენ: „რა ხდება ჩილეში?“ ერთხელ ვიღაცამ მოიტანა გაზეთი, რომელშიც დაბეჭდილი იყო ჩილელი ბიჭუნას სურათი. ბიჭს ტანზე გასისხლიანებული პერანგი ეცვა. გალია ტრუშინამ თქვა: „მოდით გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სახელზე გავგზავნოთ წერილი-მიმართვა“. უმალვე შეუდგნენ

# ოქტომბრელები დიდი ზეიმისათვის ემზადებიან

ეროვნული ბიბლიოთეკა




**პიონერული აქტივის კლუბი „კოცონის“ მრგვალი მაგიდის ირგვლივ სასაუბროდ კვლავ ვიწვევთ ჩვენი რესპუბლიკის პიონერულ აქტივს.**
**სიტყვას ვაძლევთ თბილისის პირველი საშუალო სკოლის რაზმეულის საბჭოს თავმჯდომარეს, VIII კლასის წარჩინებულ მოსწავლეს ნინო თურმანიძეს.**

ჩემთვის დაუვიწყარია 1979 წელი. ვმონაწილეობდი არტეკში გამართულ ბავშვთა საერთაშორისო დღესასწაულში. სამუდამოდ ჩამწვდა გულში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის სიტყვები: „ბედნიერი ბავშვობისათვის მშვიდობიან მსოფლიოში!“ ეს იყო ჩვენთვის მოცემული დიდი დარიგება; დარიგება, რომ, რა საქმესაც არ უნდა ვაკეთებდეთ მარშის სვლაგეზებზე, ჩვენი ერთგული კომპასი უნდა იყოს ეს სიტყვები; უნდა ვზრუნავდეთ მშვიდობიანობისათვის, ბედნიერებისათვის.

არტეკში გატარებული დღეები ჩემთვის პიონერული ცხოვრების საუკეთესო სკოლა იყო. ჩემი განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო ირგვლივ შექმნილმა აქტიურმა ატმოსფერომ (არტეკში ყველა აქტიუ-

წერილის ტექსტის შედგენას და ერთ საათში ამ წერილს უკვე კითხულობდნენ რაზმეულის ყველა რაზმში, შემდეგ კი მთელი ბანაკი ერთად შეიკრიბა. ეს უკვე სტიქიური მიტინგი იყო. ინტერნაციონალური მეგობრობის კლუბის წევრებმა სკამებზე დააწყვეს რამდენიმე ცალად გადაბეჭდილი მიმართვა. ბავშვები უსიტყვოდ მიდიოდნენ და ხელს აწერდნენ ამ მიმართვას, ხელს აწერდნენ სიტყვებს, რომლებიც გამოხატავდა ფაშიზმისადმი სიძულვილს და ჩილეს ხალხისადმი სოლიდარობას. „ჩვენ არ დავუშვებთ, რომ ჩვენს თანატოლებს ანგარიშს უსწორებდნენ! ჩვენ ინტერნაციონალური მეგობრობის კლუბ „როვესნიკის“ წევრები მოვუწოდებთ ყველა ბავშვს, ფართოდ გაშალონ ჩილეს ხალხთან და ბავშვებთან სოლიდარობის კამპანია.

„ჩვენ თქვენთან ვართ,
ჩილელო ძმებო!
სიმართლე ჩვენს მხარეზეა!“

სიმღერა „ვენსერემოს“ ჰანგქვეშ ასობით ხელმოწერა მოგროვდა, მიმართვა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში გაგზავნეს. ეს „ორლიონოკში“ ინტერკლუბის მუშაობის ერთ-ერთი ფურცელია. მოვიხსენიოთ კიდევ რამდენიმე:

— დაუსწრებელი მოგზაურობა სსრ კავშირის მოკავშირე რესპუბლიკებში;
— პროპაგანდისტებისა და პოლიტინფორმატორების მომზადება;
— საბრძოლო და საპროტესტო სიმღერების კონკურსები;
— პოლიტიკური პლაკატის კონკურსები;
— სხვადასხვა ქვეყნების ბავშვებთან მიმოწერის ორგანიზაცია, და ა. შ.

კრასნოდარის მხარის მოსწავლეებს (ამ მხარის ტერიტორიაზე მდებარეობს „ორლიონოკი“) მჭიდრო მეგობრობა აკავშირებთ ბულგარეთის ბურგასის ოკრუგის ბავშვებთან. ორივე მხარემ შესანიშნავად შეისწავლა მასალები თავიანთ მეგობრებზე, შექმნეს ფილმები, გააკეთეს სტენდები, ალბომები, ჩაატარეს კონკურსი საუკეთესო ექსკურსიამძღოლზე, კონკურსი ხატვაში და ბოლოს მოაწყვეს ძიება იმ მებრძოლებისა, რომლებიც მონაწილეობდნენ ბულგარეთის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში, რის შედეგადაც მოხდა დელეგაციების გაცვლა. დელეგაციებში შედიოდნენ პიონერები, კომკავშირელები და მათი ხელმძღვანელები.

დიახ, შესანიშნავად მუშაობს „ორლიონოკის“ ინტერნაციონალური მეგობრობის კლუბი. კლუბის ხელმძღვანელებმა, მეთოდისტებმა კარგად იციან, რომ ბავშვობისა და ყრმობის წლები ღია გულის წლებია. ბავშვები სტიქიურად ისწრაფვიან ერთმანეთისკენ, მათთვის უცხოა ეროვნული გრძნობა, ზიზღი სხვა ეროვნების ადამიანებისადმი. უკრაინელები ტირიან იაკუტიელებთან განშორებისას, ყაზახები ლატვიელებთან ერთ მწკრივში მიდიან, და ამ შორეული რეგიონების ნორჩებს შორის მიმოწერა წლობით გრძელდება.

აქ, „ორლიონოკში“ განსაკუთრებით მკაფიოდ იკვეთება ადამიანთა ის ახალი, ისტორიული ერთობა, რომელსაც სპბჭოთა ხალხი ჰქვია. აქ ვერ გაჭაჭანდება ეროვნული ქედმაღლობა, სხვა ხალხთა ტრადიციებისა და ჩვევების აბუჩად აგდების მცდელობა. პირიქით, აქ ყოველთვის მხარში ამოუდგებიან იმას, ვისაც ეს სჭირდება, ვინც ტანჯვასა და დამცირებას განიცდის. აი, სწორედ ასეთი ცოცხალი, წინასწარ დაუგეგმავი და სტიქიური იყო ჩილელი ხალხისადმი სოლიდარობის მიტინგი.

ინტერნაციონალური მეგობრობის კლუბის წევრები ეცნობიან თავიანთი თანატოლების ცხოვრებას სხვა ქვეყნებში, სწავლობენ მათს სიმღერებს, ცეკვებს, ჩვეულებებს. ასწავლიან და სწავლობენ, რადგან ყველა ხალხს აქვს რაიმე მხოლოდ მისეული, ძვირფასი, მნიშვნელოვანი, რაც მისაღებია სხვებისათვისაც.

ინტერკლუბის წევრებმა იციან, რას წარმოადგენს სოციალისტური ბანაკის ქვეყნების ინტეგრაცია, რომ ამაში შედის ამ ქვეყნების ეკონომიკური და კულტურული ცხოვრების გამოცდილების გაზიარება, რომ სწორედ ეს არის პროლეტარული ინტერნაციონალიზმის ჭეშმარიტი გამოვლინება, რომ ეს განამტკიცებს ხალხებს შორის ზნეობრივ კავშირს.

მ. კატაევა

რი იყო). იქ უსაქმოდ ვერ იქნები და არც იქნები; საქმისათვის თავის არიდებას ვერ მოახერხებ, ისეა ყველაფერი დაგეგმილი.

არტეკში ბევრი რამ ვისწავლე, რასაც ჩემს რაზმეულში დავამკვიდრებ. განსაკუთრებით მომეწონა ღონისძიებათა მომზადების პროცესი, თავად მზადებაა თითოეული პიონერისთვის საზეიმო და დაუვიწყარი, ამიტომაც ფინალი მუდამ სამახსოვრო ხდება ხოლმე. საერთოდ, არტეკში პიონერული მუშაობის ფორმა კარგად არის დახვეწილი.

თბილისიდან ჩემთან ერთად იყვნენ დათო ვაშაკიძე 58-ე სკოლიდან, დათო შოშიტაიშვილი 53-ე სკოლიდან, ნატო რიჟინაშვილი 126-ე სკოლიდან და სხვები; მათაც ძალიან მოეწონათ არტეკში პიონერული აქტივის მუშაობა.

სკოლაში მობრუნებულმა ახალი სასწავლო წლის დაწყებისთანავე შევკრიბე რაზმეულის საბჭოს წევრები და არტეკული შთაბეჭდილებები გავუზიარე. შევადგინეთ მომავლის გეგმებიც, როგორც არტეკში დაგვარიგეს, მეც ისე განვუმარტე ყველას — არ უნდა დავივიწყოთ, რომ ჩვენს საქმიანობაში მარში მთავარია. ჩვენი მიზანია თითოეული პიონერისათვის ნათელი გავხადოთ მარშის ახალი ეტაპი, რომელიც შარშან დაიწყო და ისევ გრძელდება.

მარშის სვლაგეზების მიხედვით მუშაობაში ჩვენ უმთავრესად მივიჩნევთ ლენინურ თემას. წინა რიგში ვაყენებთ ვლადიმერ ილიას ძე ლენინის სახელთან დაკავშირებულ ყველა საქმეს, დიდი ბელადის დაბადების 110-ე წლისთავისათვის მზადებას.

ჩემი რაზმეულის პიონერებმა იციან, რომ მარშის მნიშვნელოვანი მოვლენა იქნება საკავშირო პიონერული კვირა და საკავშირო შეკრება: „საბჭოთა ქვეყნის პიონერები ლენინის საქმის ვართ ერთგულები!“ ლენინური კვირა ხომ მარშზე გაწეული მთელი მუშაობის შეჯამება იქნება. რაზმეულში აქედანვე გავშალეთ მუშაობა ლენინური კვირისა და საკავშირო შეკრების შესახვედრად.

საინტერესოა ჩვენი გეგმები, მათს შედგენაში არტეკის გამოცდილება მომეშველა, გამახსენდა არტეკში დიდ სტადიონზე გამართულ ზეიმზე ლ. ი. ბრეჟნევის დარიგება პიონერებისადმი — ცვლაზე იზრუნეთ, პატარებს ყურადღებას ნუ მოაკლებთო. ჰოდა, რაზმეულის სამუშაო გეგმის შედგენისას ოქტომბრელთა მეგობრობის საბჭოს მუშაობას მივაქციეთ განსაკუთრებული ყურადღება. ლენინური კვირეულის ერთ-ერთი საზეიმო დღე იქნება „წითელი ვარსკვლავების ზეიმი“. მანამდე კი ოქტომბრელებისთვის მოეწყობა კონკურსი სახვით ხელოვნებაში დევიზით: „დაე, მუდამ იყოს მზე!“ ოქტომბრელებს დავისწრებთ პიონერთა შეკრებაზე, რომლის თემა იქნება „ჩვენ ლენინის სახელს ვატარებთ!“

რაზმეულის საბჭოს შეკრებაზე განვაზოგადებთ საუკეთესო ოქტომბრელთა ჯგუფის ხელმძღვანელის მუშაობის გამოცდილებას, მოეწყობა ხელმარჯვე ოქტომბრელთა ნამუშევრების გამოფენა: „ჩვენი პატარა ხელებით“, ჩატარდება ოქტომბრელთა სპორტული ზეიმი, „სპარტაკიადა“, შეჯიბრება „ვიზრდებით გამბედავნი, ძლიერნი და მარდნი“.



ნინო თურმანიძე

ოქტომბერში ოქტომბრელებს საზეიმოდ გადაეცათ სამკერდე ნიშნები; ჩატარდა „ვარსკვლავების დაბადებისადმი“ მიძღვნილი დღესასწაული. ახლა კი ბევრ ოქტომბრელს პიონერთა რიგებში მისაღებად ვამზადებთ.

ჩვენი სკოლის მშვენიერი ტრადიციაა ოქტომბრელთა პარადი. პარადამდე კი პატარები ოქტომბრელთა საკავშირო კვირეულში მონაწილეობენ.

პიონერულ რაზმებს შორის გაშლილია შეჯიბრება: „ვინ უკეთ მეურვეობს ოქტომბრელთა ჯგუფებს“; საზეიმოდ აღინიშნება ოქტომბრელთა ჯგუფების შექმნის წლისთავი, პატარები მონაწილეობას მიიღებენ ლენინურ შაბათობებში; მათი მონაწილეობით მოეწყობა ტრადიციული ზეიმი „მაისელები“ (გავიგეთ, რომ საქართველოში ოციან წლებში ოქტომბრელებს მაისელები ერქვათ), ხოლო პიონერთა საკავშირო კვირას მარტო პიონერების დღესასწაული კი არ მოეწყობა, ამ დღეს ოქტომბრელთა „სამხედრო პარადსაც“ გავმართავთ. ამისათვის უკვე ემზადებიან ჩვენი სკოლის „კოსმონავტები“, „ჰუსარები“, „მეზღვაურები“, „მესაზღვრეები“, „ექიმები“, „მედიცინის დები“, „ჯარისკაცები“ და სხვ. ოქტომბრელები იკერავენ საპარადო ფორმებს, ვარჯიშობენ სამწყობრო სიარულში, სწავლობენ სამწყობრო სიმღერებს, ეცნობიან არჩეულ „პროფესიას“ და ა. შ. ამ დღეს სკოლაში სასულე ორკესტრი იგრიალებს... სკოლა სტუმრებით აივსება...

რაზმეული საბჭოთა კავშირის გმირის კონსტანტინე ლესელიძის სახელს ატარებს, ზეიმზე ლესელიძის თანამებრძოლთ, მცირემიწელებს მივიწვევთ და ოქტომბრელთა პარადის განმკარგულებელი მათი წარმომადგენელი იქნება.

ლენინის მოედანი ჩვენს სკოლასთან ახლოს მდებარეობს. იმ საზეიმო დღეს ბელადის ძეგლთან ყვავილებს მივიტანთ.

ზეიმზე შეფებიც გვესტუმრებიან თბილისის საარტილერიო სასწავლებლიდან, აბრეშუმის საწარმოო გაერთიანებიდან, კიბერნეტიკის ინსტიტუტიდან, საქართველოს თეატრალური საზოგადოებიდან, ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტიდან...

ოქტომბრელთა ჯგუფების მთელ სამზადისს ოქტომბრელთა მეგობრობის საბჭო წარუძღვება. მისი თითოეული წევრი პასუხისმგებელია მუშაობის ამა თუ იმ უბანზე: „ვარსკვლავის“ ხელმძღვანელთა სწავლებაზე თუ სტენდების და ოქტომბრელთა კუთხეების გაფორმებაზე, გაზეთ „ოქტომბრელის“ გამოშვებაზე თუ ოქტომბრელთა კლუბების მუშაობაზე და ა. შ. ვცდილობთ კარგად განვუმარტოთ პატარებს ვ. ი. ლენინის დაბადების 110-ე წლისთავისადმი მიძღვნილი ყველა პიონერული საქმის შესრულების მნიშვნელობა.

ოქტომბრელები ჩვენი ცვლაა, აქედანვე უნდა შევამზადოთ ისინი პიონერული მუშაობისათვის, მივაჩვიოთ პიონერული დავალების შესრულებას, რათა შემდეგ, როცა პიონერთა ორგანიზაციის სრულუფლებიანი წევრები გახდებიან, რაზმეულის საინტერესო ცხოვრებით იცხოვრონ.

## გუგული — უდარდელი მშობელი



გუგული ბუნების იმ იშვიათ შვილებს ეკუთვნის, რომლებისთვისაც დამახასიათებელია ეგრეთ წოდებული ბუდის პარაზიტიზმი. იგი ბუდეს არ იკეთებს და არც კრუხად ჯდება ბარტყების გამოსაჩეკად. როდესაც კვერცხის დადების დრო მოვა, ბუჩქებში საიმედოდ შენიღბული გუგული მოთმინებით ადევნებს თვალყურს, სად აგებენ მგალობელი ფრინველები ბუდეს. ბუდეების აღმოსაჩენად იგი სხვა ხერხსაც იყენებს. მფრინავი გუგული შეფერილობით ზომით და ფრენის მანერით ძალიან ჰგავს მოპიკირე მიმინოს. ეს საოცარი მსგავსება შემთხვევითი როდია — მეცნიერებმა შესძლეს მისი გამოცნობა. გუგული განზრახ შურდულივით ჩაუქროლებს ხოლმე ფრინველთა სავარაუდო საბუდრებს. „მტაცებლის“ სილუეტით გაოგნებული ჩიტუნები პანიკით ტოვებენ თავშესაფარს. გუგულსაც სწორედ ეს უნდა — შესაფერ ბუდეს რომ აღმოაჩენს, პატრონის არყოფნისას იქ ერთ კვერცხს ჩადებს. დასაჯდომად პატარა, ანდა მიუდგომელ ბუდეებში გუგულს ნისკარტით მიაქვს უკვე დადებული კვერცხი, მაგრამ ვიდრე თავისას ჩადებდეს, ჩვეულებრივ თითოს აკლებს მასპინძლის კვერცხებს. ამგვარად ანაწილებს ეს მოხერხებული ფრთოსანი თავის ოთხ-ხუთ კვერცხს.

კვერცხიდან გამოჩეკისთანავე, ჯერ კიდევ თვალაუხელელ გუგულის ბარტყს ჯიუტად ამოძრავებს უცნაური ინსტიქტი: გადაყაროს ბუდიდან ყველაფერი, რაც შიგ არის. ორნითოლოგებმა დაადგინეს, რომ გუგულს ზურგზე მგრძნობიარე დვრილები აქვს. საკმარისია მათ მიეკაროთ, რომ ბარტყი მაშინვე ამჟღავნებს სათანადო რეაქციას. ამ თვისებით იგი ცოცხალ ავტომატს მოგვაგონებს. სულ ოთხიოდე დღის შემდეგ ბუდიდან გადაგდების ეს ინსტინქტი იკარგება, „ავტომატი“ გამოირთვება და თუ გუგულის ბარტყი იმ ოთხ დღეში ვერ მოასწრებს მოქიშპე ბარტყების თავიდან მოშორებას, შემდეგ ამას ვეღარასოდეს ვერ შეძლებს.

გუგულის ბარტყი საოცრად გაუმაძღარია, მშობლის ნაცვალს დილიდან საღამომდე შეუსვენებლივ მიაქვს მისთვის საკვები. ოცი დღის შემდეგ ბარტყი ტოვებს ბუდეს, მაგრამ კიდევ ერთი თვის-თვენახევრის განმავლობაში ბრმა მშობლიური ინსტინქტი აიძულებს ჩიტებს მონახონ გერი და გამოკვებონ. პირდაბჩენილი დიდი ზომის ბარტყისა და მინიატურული დედობილის ურთიერთობა ხშირად კომიკურ სურათს ქმნის. ნამდვილი მშობლები, გუგულები მთელი ცხოვრების მანძილზე ერთხელაც არ მოინახულებენ თავიანთ მოძულებულ შვილებს.

მაინც რატომ არ მოისვრიან დაუპატიჟებელი სტუმრის კვერცხს საბრალო ჩიტუნები? ცდებით დადასტურდა, რომ ბევრი ფრინველი ცუდად ცნობს თავის კვერცხებს. არწივებს, გედებს, ქათმებს, იხვებს შეუძლიათ დაიბუდონ კვერცხის მსგავს ნებისმიერ საგანზე, მაგრამ გუგულთან დაკავშირებით კიდევ ერთ განსაკუთრებულ შემთხვევასთან გვაქვს საქმე. იმისათვის, რომ ვერ იცნონ მისი კვერცხები, გუგული „მოხერხებულად“ ამსგავსებს მათ სხვებისას, ევოლუციის პროცესში ამ ფრინველებს განუვითარდათ შეგუების საოცარი უნარი — მათი კვერცხი ზომითა და ფერით ძალიან ჰგავს იმ ფრინველთა კვერცხებს, რომელთა ბუდეებშიც პარაზიტობს გუგული.

ინგლისში ერთხელ უჩვეულო გამოფენა მოეწყო. სტენდებზე დემონსტრირებული იყო სხვადასხვა ფერის კვერცხები, სულ 919 ცალი — ყველა გუგულის კვერცხი იყო და 76 სხვადასხვა სახეობის ფრინველის ბუდეებიდან იყო შეგროვებული. სპეციალისტებმა დაადგინეს, რომ გუგულები კვერცხებს უწყობენ 150 სახეობის ფრინველს. პირდაპირ საოცარია, რა სრულიად სხვადასხვა საკვებით იზრდება გუგულთა მოდგმა!

გუგული 100 გრამს იწონის, მისი ბარტყების აღმზრდელები კი 7-10 გრამს. რა გამოვიდოდა, თავისი სხეულის პროპორციულად გუგულს რომ ისეთივე მსხვილი კვერცხი დაედო, როგორც, ვთქვათ, ჩიბუხას, რომელიც ასევე 100 გრამს იწონის? უბრალოდ, მისი კვერცხი არ ჩაეტეოდა მგალობელი ფრინველის მინიატურულ ბუდეში. აი ამიტომაც გუგულებს გამოუმუშავდათ შემგუებლობის კიდევ ერთი საოცარი უნარი: ისინი ისეთივე მცირე ზომის კვერცხებს დებენ, როგორებსაც, მაგალითად, ბეღურა!

დედამიწაზე 130 სახეობის გუგულია. მათგან 50-მდე არ კრუხობს. რატომ დასჭირდათ გუგულებს გასაოცარი ინსტინქტებისა და შეგუე-






### საშინაო დავალება

კუნძულ იავას არჯავინანგუნის ოლქის მოსწავლეთათვის არც ისე ადვილია ერთ-ერთი საშინაო დავალების შესრულება: საჭიროა კარგი ფიზიკური მომზადება, სწრაფი რეაქციის უნარი და მიზანში სუსტად სროლა. საშინაო დავალება ასეთია: მოსწავლემ დილით სკოლაში უნდა მიიტანოს სამი მოკლული ვირთაგვა. არჯავინანგუნში ვირთაგვები ისე მომრავლდნენ, რომ ბრინჯის მოსავლის თითქმის ნახევარს ანადგურებენ. ადგილობრივი ხელისუფალნი იძულებული გახდნენ მღრნელებისათვის საყოველთაო ომი გამოეცხადებინათ. თუ, ვთქვათ, ქალმა და ვაჟმა დაქორწინება გადაწყვიტეს, რეგისტრაციაში გატარებამდე ორმოცდაათი მკვდარი ვირთაგვა უნდა წარმოადგინონ. მას შემდეგ, რაც ამ არემარეში ორ მილიონამდე ვირთაგვა მოსპეს, მთავრობამ ოლქის უფროსს მიანიჭა მაღალი წოდება — ვირთაგვამჭერი.



### ყველის თაყვანისმცემელი

ერთი და ორი წელიწადი როდია, რაც ინგლისელი პატრიკ რენსი ყველის პროპაგანდას ეწევა. მისი ლოზუნგია: „იხსენით ყველი!“ რენსი ას ორმოცდაათამდე სხვადასხვა სახის ყველს არჩევს ერთმანეთისაგან გარეგნული შესახედაობით, გემოთი, სუნით. ამასთან იგი გამოკვლევებსაც წერს რძის ამ ნაწარმზე.

პატრიკ რენსი ცნობილია მთელი მსოფლიოს ყველის მწარმოებელთა კორიფეებისათვის, მას დავალებული აქვს მასალებისა და დახასიათებების შეკრება „მსოფლიოს ყველის ენციკლოპედიის“ განყოფილებისათვის „ინგლისური ყველი“.

ერთხელ რენსს ჰკითხეს, რას გადაიტანდი ჩაძირული ხომალდიდან უკაცრიელ კუნძულზეო? „რასაკვირველია, ყველს!“ — შესძახა ყველის თაყვანისმცემელმა.

### ფრინველთა საერთო საცხოვრებელი

ტყეში არცთუ იშვიათად გვხვდება ხეები, რომელთაც შეიძლება თამამად უწოდო ფრთოსანთა საერთო საცხოვრებელი. ერთ ტყეში, მაგალითად, ასწლოვანი ფიჭვის ფუღუროში ერთდროულად ბოლოცეცხლები და წიწკანები ცხოვრობდნენ, ქერქის ნახეთქში მგლინავები ბინადრობდნენ, ტოტზე შაშვებს დაებუდათ, კენწეროზე კაკაჩას მოეჩხლართა ბუდე ხმელი ტოტებისაგან და მის კედელში დაბინავებული მინდვრის ბეღურები კი არხეინად კვებავდნენ თავიანთ ბარტყებს.

### მეეტლეები და მარადიული ქალაქი

ოცი წლის წინათ რომში სამი ათასი მეეტლე იყო. ამჟამად კი მხოლოდ სამოცდაცხრამეტია. ეტლით სეირნობა ტურისტების საყვარელი გართობაა. მაგრამ თვითონ რომაელები მანქანას ამჯობინებენ და „ერთი ცხენის ძალას“ იშვიათად მიმართავენ, ისიც მხოლოდ მაშინ, როცა ტაქსისტები გაფიცვას აცხადებენ.

თანამედროვე ქალაქში მეეტლეს ძალიან უჭირს: ცხენი მეტისმეტად ძვირია, ბეგარა — დიდი, მოძრაობა — ინტენსიური. ამას ისიც ემატება, რომ მოძრაობის მომწესრიგებლები მეეტლეებს ამრეზით უცქერიან და უწყალოდ აჯარიმებენ ხოლმე. რომის მესვეურები ცდილობენ, რაც შეიძლება შეამცირონ მეეტლეთა რიცხვი და ისინი ტაქსის შოფრებად გადაიყვანონ. მაგრამ მეეტლეები ფარხმალს არ ყრიან. პროფკავშირში გაერთიანდნენ და გაფიცვებსაც კი აწყობენ მოედნებზე. არავინ უწყის, გაუძლებენ თუ არა ისინი ხელისუფალთა დაწოლას, მაგრამ ერთი რამ კი ცხადია: მარადიულ ქალაქს უეტლებოდ საინტერესო ღირსშესანიშნაობა მოაკლდება.

### ძეგლი აიგო

„როგორ ვეგებებით მშობლიური ქალაქის მე-700 წლისთავს?“ — ამ დევიზით ამსტერდამის მუნიციპალიტეტმა მოაწყო კონკურსი: „ტიპიური ამსტერდამელი“. ბევრი კამათის შემდეგ ჟიურიმ პირველი პრიზი მიანიჭა 34 წლის ფსიქოლოგს, პენკ იურიაანს. იგი თურმე მთელი საიუბილეო წლის მანძილზე ყოველდღე იჯდა... მინის ხუფქვეშ. როგორც ჩვეულებრივი ამსტერდამელის სადემონსტრაციო ექსპონატი.



### შორეულ წარსულში

170 მილიონი წლის წინათ ჩვენს პლანეტაზე მრავალი პლატეოზავრი დაბალახობდა. ეს ოთხფეხა ცხოველები სიგრძით რვა მეტრს, სიმაღლით სამ მეტრს აღწევდნენ. მეცნიერთა აზრით, ისინი ჯოგებად ცხოვრობდნენ და ჰავის ცვალებადობისდა მიხედვით იცვლიდნენ ადგილს. ახლახანს ერთ-ერთი პლატეოზავრის ჩონჩხი აღმოაჩინეს შვეიცარიაში. მანამდე პლატეოზავრთა ჩონჩხებს მხოლოდ გფრ-ში, სამხრეთ ტიურინგიაში პოულობდნენ. სწორედ აქ აღმოაჩინეს მათი მთელი სასაფლაო — 50 ჩონჩხი!

---

ბულობის მთელი სერია, რათა თავიდან აეცილებინათ ყველაზე საპატიო, მაგრამ ამავე დროს ყველაზე საპასუხისმგებლო მოვალეობა — შთამომავლობის აღზრდა?

მაინცდამაინც ნუ აღვშფოთდებით გუგულის ერთი შეხედვით „არაეთიკური“ ქცევით. საქმე ის არის, რომ ამ ფრინველს, სხვების მსგავსად, კვერცხების მოკლე დროში დადება არ შეუძლია. ამას ის ოთხ-ექვს კვირას ანდომებს. ასეთ გაჭიანურებულ დროში კვერცხების ნაწილი გალაყდებოდა, ხოლო დარჩენილი კვერცხებიდან კი ასაკით განსხვავებულნი დაფრთიანებას მაინც ვერ მოასწრებდნენ და დაიღუპებოდნენ. ამიტომაც შთამომავლობის გაგრძელების მიზნით გუგული სხვა ფრინველთა მშობლიური მზრუნველობით სარგებლობს.

გუგულის „რეაბილიტაციისათვის“ კიდევ ერთი რამ უნდა ითქვას — მას დიდი სარგებლობა მოაქვს მავნე მწერების განადგურებით და ისეთი შხამიანი მწერების განადგურებითაც, რომლებსაც სხვა მწერიჭამია ფრინველები არ ეკარებიან.

**არნ. გეგეჭკორი,**
ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი.

# მოარულ უზუსტობათა ლექსიკონი



ამ ლექსიკონიდან შეიძლება გაიგოთ, რომ არ არის მართალი, თითქოს „გილიოტინის“ პირველი მსხვერპლი თვით მისი გამომგონებელი იყო. სიკვდილის ეს იტალიური იარაღი, ფრანგებს გადაუკეთებიათ მხოლოდ. სახელი „გილიოტინა“ კი თურმე ასე დარქმევია: ერთი ვინმე დოქტორი ჟოზეფ იგნასა გილიოტინა XVIII საუკუნის საფრანგეთში გავრცელებული წამების წესების სასტიკი მოწინააღმდეგე ყოფილა. იგი სენატშიც გამოსულა და მოუთხოვია: პატიმართა წამების ნაცვლად სახელმწიფომ სწრაფი მოკვდინების იარაღი უნდა გამოიყენოსო. 1792 წელს სენატს მიუღია ასეთი დადგენილება და იმ იარაღსაც გილიოტინა შერქმევია. მისი პირველი მსხვერპლი კი ვიღაც ბანდიტი ყოფილა. დოქტორი გილიოტინა და მისი ოჯახი სასტიკად განიცდიდნენ თურმე, რომ მათი სახელი სიკვდილის იარაღს დაუკავშირდა. ამიტომ ამდგარან და დოქტორის სიკვდილის შემდეგ გვარი შეუცვლიათ.

თითქმის ყველას ჰგონია, რომ ნაყინი ორგანიზმს აგრილებს. ეს არ არის სწორი, რადგან იგი მაღალკალორიული ცხიმებისაგან და ნახშირწყლებისაგან შედგება. ამიტომ, ცხადია, საბოლოოდ, იგი არა თუ არ აგრილებს მჭამელს, პირიქით, ათბობს. ნაყინის გამაგრილებელი ეფექტი მოჩვენებითია.





პანამა (შლაპა) სულაც არ არის პანამური წარმოშობისა. ეკვადორში გამოუგონიათ. პანამაში პანამებით ვაჭრობის ცენტრია.



უეჭველი შეცდომაა, როცა ფიქრობენ, თითქოს ძაღლს ენაზე გამოსდიოდეს ოფლი. ძაღლი ჩქარი სუნთქვით თავს იგრილებს ხოლმე — სველი ენა ორთქლდება და ორგანიზმი გრილდება.

## სარჩევი


ზეიმობს საქართველოს კომკავშირი . . გარეკან. 2-3
შამფრიანი ს. — ვაშა, დიდება! (ლექსი) გარეკანის . 2
კ ო მ კ ა ვ შ ი რ ს უ ლ ო ც ა ვ ე ნ! . . . . . . 3
კობერიძე კ. — სათიბის მარწყვი (მოთხრობა. დასასრული) . . . . . . 4
მორჩიაული თ. — ოქტომბერია (ლექსი) . . 10
ბობოხიძე კ. — მზით ნაქსოვი ცისარტყელა (ლექსი) 10
გურგენიძე ვ. — დიდი პოეტი და ბავშვები (მოგონება) . . . . . 10
ჩვენთან სტუმრად არიან აჭარაში მცხოვრები მწერლები . . . . . . 12
„ა ი ს ი“ . . . . . . . . 24
საქსენა ნ. ს. — ჯემპრი (მოთხრობა) . . . 26
ზ ნ ე ო ბ ი ს ა ნ ბ ა ნ ი — ინტერნაციონალიზმი . 27
„კ ო ც ო ნ ი“ . . . . . 28
გეგეჭკორი არნ. — გუგული — უდარდელი მშობელი (წერილი) . . 30
ჯ ა დ ო ს ნ უ რ ი ს ა რ კ ე . . . . . . 31
მოარულ უზუსტობათა ლექსიკონი . . . . 32
გ ა მ ო გ ა დ გ ე ბ ი . . გარეკ. 3
ფრთხილად, ავტომობილია! . . . . . გარეკ. 3


გარეკანის 1-ლ გვერდზე — „ვაშა, ოქტომბერს!“ ნახატი რევაზ ცუცქირიძისა.


მთავარი რედაქტორი ბაბულია შელია.

სარედაქციო კოლეგია: დოდო ვადაჭკორია, ზურაბ ლეჟავაშელი (პ/მგ. მდივანი), ზურაბ ლომიძე, გაიოზ ფოცხიშვილი (მხატვარი-რედაქტორი), გიორგი ქლიბაძე, ნოდარ შამანაძე, სიმონ შამფრიანი, ლევან ჩიქვანაია, ზურაბ ჭუმბურიძე.

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა

ჩვენი მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14.
ტელეფონები: რედაქტორის—93-97-05 93-31-61
პ/მგ. მდივნის 93-97-08 93-53-05
განყოფილებების—93-97-02 93-97-01

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. თბილისი. ლენინის ქ. № 14
«ПИОНЕРИ», на грузинском языке. Издательство ЦК КП Грузии
Типография изд-ва ЦК КП Грузии. Тбилиси. ул. Ленина № 14.
გადაეცა ასაწყობად 24/IX-79 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 23/XI-79 წ. ქაღალდის ფორმატი 60×90¹/₈. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 4. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,35.
შეკვ. № 2220 ტირ. 149.800. უე 13303.

ფასი 20 კაპიკი

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

თბილისში მცხოვრებ ავტორებს პასუხი წერილობით არ ეცნობებათ.


 © „პიონერი“, 1979 წ.

ლავსანის ან ხელოვნური ძაფის ტანსაცმელს რომ გარეცხავ ზედ უამრავი გაცრეცილი ძაფი რჩება, აიღე ელექტროსამართებელი, ზედ გადაატარე და იმ შენს გარეცხილ ტანსაცმელს წამში დაუბრუნდება პეწი.

თუ დიასახლისს არც ლითონის ხუფი აქვს და არც პოლიეთილენისა, ნუ ინაღვლებს, „გამოგადგები“ აქაც შეეშველება. კონსერვი ან კომპოტი ჩვეულებრივად უნდა დამზადდეს, ქილაში მოდუღების შემდეგ კი მასას



ზემოდან გალმხვალი პარაფინი ან სანთელი დაესხას და შიგ „წვეთი ჰაერი“ არ შეიპარება, (სანთლის სისქე ორი სანტიმეტრი მაინც უნდა იყოს). სანთელი პირს შეიკრავს და ჭურჭელიც საიმედოდ იქნება მოხუფული. ნახმარი სანთელი შემდეგ ისევ შეგიძლიათ იხმაროთ.

ოჯახში კონსერვების დამზადებისას, როცა დიასახლისს ლითონის ხუფები შემოაკლდება, შეუძლია იხმაროს პოლიეთილენის ხუფები, ოღონდ იმ ხუფებს ლითონის მომჭერი ჩარჩიკი უნდა შემოუჭიროს. ასეთ ხუფს ერთი უპირატესობაც აქვს — თუ პროდუქტი დაზიანდა, თვითონ იძლევა ნიშანს— ამოიბურცება. თუ არა და პროდუქტი გულდამშვიდებით შეიძლება შეინახოთ საზამთროდ.



პოლიეთილის საცობს თავი გადააჭერი და მშვენიერი პატარა ფილტრი გექნება ხელთ.



# ფრთხილად — ავტომობილი!

განყოფილებას ხელმძღვანელობს საქ. სსრ შსს სახ. ავტოინსპექციის საალრიცხვო-საგამოცდო ქვეგანყოფილების ინსპექტორი ა. კანდელაკი

სასწრაფო, ოპერატიული დავალების შემსრულებელი ავტომანქანები და მოტოციკლები საგანგებო სასიგნალო მოწყობილობით არიან აღჭურვილნი. მანქანის სახურავზე კი დადგმულია მოციმციმე ნათურა. ასეთი მანქანები თქვენ არაერთხელ გინახავთ.

მილიციის (ავტოინსპექციის) მანქანები, ჩვეულებრივ, ყვითლადაა შეღებილი. ამ მანქანებზე დადგმულია ხმამაღლამოლაპარაკეები. მილიციის მოტოციკლებიც ყვითლად იღებება.



სასწრაფო დახმარების მანქანა თეთრ-ყვითელი ფერისაა. ძარაზე აწერია „03“, ეს ტელეფონის ნომერია, რომლითაც შეიძლება ავადმყოფისათვის „სასწრაფო დახმარების“ გამოძახება.

სახანძრო მანქანები, როგორც წესი, წითელი ფერისაა.

შემთხვევის ადგილისაკენ მიმავალი ასეთი მანქანები ხმამაღალ სიგნალებს იძლევიან, ხშირად ჩართული აქვთ მოციმციმე ლურჯი ნათურა. ასეთი სიგნალის გაგონების ან ლურჯად მოციმციმე ნათურის დანახვისთანავე ფეხით მოსიარულეები ტროტუარზე უნდა ახვიდეთ და არა თუ არ უნდა გადაჭრათ ქუჩა, ავტომანქანის მოძრაობისათვის განკუთვნილ ზონაში ფეხიც კი არ უნდა შედგათ. ხშირად მილიციის ოპერატიული მანქანები ან მოტოციკლები გრძელ კოლონას მიუძღვიან ხოლმე წინ. მაშინაც უნდა დაელოდოთ კოლონის გავლას.

ოპერატიულ დავალებებზე მიმავალ მანქანებს გზა უნდა დაუთმონ სხვა ავტომანქანებმაც.

ოპერატიული დახმარების მანქანებს გამოცდილი მძღოლები მართავენ, რადგან საგანგებო დავალებებზე მიმავალთ ნება აქვთ გზაჯვარედინის წითელ შუქნიშანზედაც კი გადაჭრან და დიდი სიჩქარე განავითარონ (ოღონდ, გზის უკიდურესი მარცხენა მხარე უნდა დაიჭირონ). ყოველივე ეს მძღოლისაგან დიდ ოსტატობას მოითხოვს.





სოფ. ბოჭორმა. ნიკა ბორშოი V კლასი.

მოსწავლეთა შემოქმედება

# თუში ბავშვები ხატავენ

მთათუშეთის სოფ. ომალოს სკოლა-ინტერნატის მოსწავლეთა ნამუშევრები.

ჩემი სკოლა. ლევან ელანიძე, V კლასი.





პორტრეტი. გელა ბორშოიძე, V კლასი.



კაკა თანდილა. რეზო ძმანაშვილი, IV კლასი.



ნატურმორტი. ნანა აქიმიძე, V კლასი.



მთები. ქავთარ ელანიძე, V კლასი

სკოლა-ინტერნატი. თამაზ ძმანაშვილი, V კლასი



7615